პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 30-ე წელი
№ 60 (11671)

შაბათი, 12 მარტი, 1960 წ.

ფასი 20 კაპ.

# ლენინურ შრომითს ვახტზე

**ბათუმი.** (საკ. კორ.). სტალინის სახელობის ნავთობგადასამუშავებელი ქარხნის კოლექტივი წარმატებას აღწევს შვიდწლედის დავალებათა შესრულებისათვის ბრძოლაში. ჯ. ვ. ლენინის დაბადების 90 წლისთავის აღსანიშნავად საწარმომ იანვარში და თებერვალში გეგმის გადამეტებით რამდენიმე მილიონ მანეთზე მეტი პროდუქცია გამოუშვა.

## ორ თვეში—ორი მილიონი

თებერვლიდან აქ 7 ხაათის სამუშაო დღეზე გადავიდნენ. პირველი შედეგები კარგია: ამაღლდა შრომის ნაყოფიერება, გაიზარდა პროდუქციის გამოშვება. შრომის ანაზღაურების მოწესრიგების შედეგად, წინასწარი გამოანგარიშებით, მუშების ხელფასი გაიზარდა საშუალოდ 18,1 პროცენტით, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკებისა — 18,5 პროცენტით, დაბალხელფასიანი მომსახურე პერსონალისა — 26,5 პროცენტით. ქარხნის მუშები შვიდი ხაათის სამუშაო დღეზე გადახვლის შემდეგ დიდი გადაჭარბებით ასრულებენ ყოველდღიურ დავალებებს.

## იბრძვიან, იმარჯვებენ

თბილისის საელმავლო დეპოს კოლექტივი შრომითს წარმატებებს აღწევს. თებერვალში თბილისელმა მეელმავლეებმა გადაიყვანეს მძიმეწონიანი 824 მატარებელი და გეგმის გადამეტებით გადაზიდეს 288 ათას ტონაზე მეტი სახალხო-სამეურნეო ტვირთი, საშუალო სადღეღამისო გარბენის ნორმას გადაჭარბებს 14 კილომეტრით, მნიშვნელოვნად გაადიდეს ტექნიკური სიჩქარე.

მძიმეწონიანი მატარებლის ტარებაში განსაკუთრებით დაწინაურდნენ მემანქანეები ს. გოგოლაძე, რომელმაც თებერვალში მძიმე წონის 16 მატარებელი გადაიყვანა და გეგმის გადამეტებით გადაზიდა 9.600 ტონა ტვირთი, და გ. ხმალაძე, რომელმაც მძიმე წონის 21 მატარებელი გადაიყვანა და გეგმის გადამეტებით გადაზიდა 9.114 ტონა ტვირთი. ასეთსავე წარმატებებს მიაღწიეს მემანქანეებმა გ. კურტანიძემ და რ. ნადირაშვილმა.

მეელმავლეები ახლა იმისათვის იბრძვიან, რომ ოთხი თვის დავალება ვ. ი. ლენინის დაბადების 90 წლისთავისათვის შეასრულონ და გეგმის გადამეტებით გადაზიდონ 800 ათასი ტონა სახალხო-სამეურნეო ტვირთი.

ჩვენ მივაღწევთ კომუნისტური შრომის გამარჯვებას!

# გაზაფხული გვიხმობს

**ფალკოტად** ქცეული ხაქართველოს ბუნება ხამოხელს იცვლის. გაზაფხულის ბოსვლამ მთელი დედამიწა გააღვიძა. ელი ამწვანდა. ნათესი მინდვრები მწვანე ბავერდივით ამბინდნენ. ბუჩქის ძირებს თავს იწონებს ნაზი იაც. გაზაფხულის ხითბომ ხეებიც ზამთრის ძილიდან ამოაფხიზლა, კოკორი გამოიტანა, ზოგან ნუში და შინდი აყვავდა. ველ-მინდვრებს ოხშივარი ასდის; ალაზნის ველზე, ბრაქის ტრამალებსა და ივრის დაბლობებში ტრაქტორების გუგუნი სიმფონიად ფინება არე-მარეს.

ერთი სიტყვით, ახლა ბუნება სიამოვნებით არის ხავსე. მაგრამ, როგორც დიდი ქართველი მწერალი და ხაზოგადოებრივი მოღვაწე იაკობ გოგებაშვილი ამბობდა, ბუნებასთან უფრო ახლოა, იმას მგავრი სიამოვნებისათვის არა აცია. გლეხკაცებს შეუნელებელი მუშაობის დრო დაუდგა.

და მართლაც, ჩვენი რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მშრომელები სულ უფრო ხალისიანად უბმებიან შრომაში, ბაზმავენ მთელ ძალებს შვიდწლედის ეორე წლისათვის ნაკისრ ვალდებულებათა ღირსეულად შესასრულებლად, ეკა ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმის გადაწყვეტილებათა წარმატებით განსახორციელებლად.

კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მიერ ნაკისრ გადიდებულ ვალდებულებათა წარმატებით განხორციელება დიდად არის დამოკიდებული ეესვისათვის დროულ და სანიშნო მომზადებაზე. საგაზაფხულო თესვა უმნიშვნელოვანეს ეტაპია უხვი მოსავლისათვის ბრძოლაში. სწორედ ამიტომ ახლა, საგაზაფხულო თესვის მასობრივად დაწყების წინ, განსაკუთრებით საჭიროა ოვამზადოთ მინდორში გასვლისათვის ველა წვრილმანი, რათა შეუფერხებლად შეასრულოთ ყველა სამუშაო.

სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობის გადიდებას რომ მივაღწიოთ, ამისათვის საჭიროა გვქონდეს მაღალხარისხოვანი თესლი. მოწინავე მეურნეობებში, რომლებიც ყოველწლიურად ღებენ უხვ მოსავალს, ურაეეი ნესი ბადა თესონ მხოლოდ კარგი, დარაიონებული ჯიშიანი თესლი. მაგრამ, სამწუხაროდ, ჩვენი რესპუბლიკის ბევრ კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში ერ კიდევ ვერ ისწავლეს ჯეროვანი ნრუნვა თესლისათვის. მაგალითად, ცუდად ამზადებენ თესლს საგაზაფხულო ეესვისათვის ახალქალაქის რაიონის კოლმეურნეობები. აქ შემოწმებული თესლის მხოლოდ 26,5 პროცენტი აღმონნდა ონდიციური. ამ მხრივ არასახარბიელი დგომარეობაა აგრეთვე ბოგდანოვკის, ბორჯომის, წალკის, ხაგარეჯოს, დმანისის, თიანეთის და ეეი რიგი სხვა რაიონების კოლმეურნეობებში. ბოგდანოვკის, ახალციხის, ახმეტის, მცხეთის, წალკის, დმანისის, თიანეთის რაიონებში ნელი ტემპით მიმდინარეობს აგრეთვე სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის, კერძოდ ტრაქტორების რემონტი.

როგორც ჩანს, ახალქალაქის, ბოგდანოვკის, წალკის, დმანისის, თიანეთის და ზოგიერთ სხვა რაიონში გულს იმით იმშვიდებენ, რომ გაზაფხული მაოგან ჯერ კიდევ შორს არის. ეს ზღაპარია. გაზაფხული მთელი თავისი ძალით მალე შეიჭრება ბორჯომის ხეობაში და მიაღწევს ახალქალაქ-ბოგდანოვკამდეც, ესტუმრება დმანისსაც და წალკასაც. ასე რომ გულდამშვიდება საშიშია ამ რაიონების კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობებისათვის.

არ უნდა გავიმეოროთ გასული წლის შეცდომები, როცა მთელ რიგ რაიონებში გაზაფხულისათვის ტექნიკის მომზადებას ფესვის წინადღეებში შეუდგნენ. ამან კი თავისი უარყოფითი დაღი დაასვა მოსავლიანობის გადიდებას. ამის მაგალითები ერთეული როდია.

მაგალითად, შარშან კასპის რაიონის 28 კოლმეურნეობიდან 14 კოლმეურნეობამ ტრაქტორების დატვირთვა ხანაბევრადაც ვერ შეასრულა. სოფელ ხვითის სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში ბირობითი ტრაქტორით გამომშვებული იყო მხოლოდ 48 ჰექტარი რბილ ხვნაზე გადაეკვანით. ასეთივე ცუდი მაჩვენებლები ჰქონდათ სოფლების პანტიანის, ქვემო გომის, ქვემო ხანდაკის, სამთავისის, საკორნთლოს და კოდისწყაროს კოლმეურნეობებს. შარშან ამავე რაიონში 9 ტრაქტორს მუშაობაში მონაწილეობა ხრულიად არ მიუღია.

შემჩნეულია, რომ ბევრ კოლმეურნეობაში სატრაქტორო სამუშაოების შეხრულების დროს კმაყოფილდებიან რბილ ჰექტარებზე გადაეკვანის საშუალო მოცაცემებით, გეგმებს იოლი გზით ასრულებენ, ხელიდან უშვებენ ხელსაყრელ პირობებს, ამის შედეგად სასოფლო-სამეურნეო კულტურებისათვის აუცილებელ სამუშაოებს შეუსრულებელს ტოვებენ, რითაც ამცირებენ მოსავლიანობას. განა ამაზე არ მეტყველებს ის ფაქტი, რომ შარშან მარნეულის რაიონის კოლმეურნეობა „კომუნიზმში“ დაგეგმილი 40 ხახის სატრაქტორო სამუშაოდან 6 ხახის სამუშაო სრულებით არ ჩაუტარებიათ, 14 სამუშაო კი ნაწილობრივ შეასრულეს!

კოლმეურნეობათა საგრძნობ ნაწილში უგულებელყოფილია ნათოხნი კულტურების მოყვანის პროგრესული წესის — კვადრატულ-ბუდობრივი თესვის გამოყენება და რიგთაშორისების ორი მიმართულებით დამუშავება. ამის გამო გასაკვირველი როდია, რომ ადგილებზე ნელა ინერგება სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა კომპლექსური მექანიზაცია, თუმცა ამ მიზნით საჭირო ტექნიკა არის.

ადგილებიდან მიღებული სიგნალები მოწმობენ, რომ ტრაქტორებისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის (გუთნები, ნათესები, კულტივატორები) რემონტს ბევრ კოლმეურნეობაში ღია ცის ქვეშ, პრიმიტიულად აწარმოებენ, არ გააჩნიათ სათანადო ხელსაწყოები ან ჩარხები. გასაგებია, რომ ასეთ პირობებში რემონტის ხარისხი დაბალია, დაცული არ არის სარემონტოშორისო ვადები, დიდი რაოდენობით იხარჯება სათადარიგო ნაწილები, ხელოვნურად იზრდება რემონტის ღირებულება, ხოლო ხშირ შემთხვევაში ე. წ. „შეკეთებული“ ტრაქტორი ან სხვა მანქანა-იარაღი ხელმეორედ შესაკეთებელი ხდება.

სამწუხაროდ, ტრაქტორებისა და იარაღ-მანქანების რემონტის საქმეში თვალსაზრისვეის ცდებიც არის. მაგალითად, სიღნაღის რაიონის სოფელ ტიბაანის კოლმეურნეობას ზემდგომ ორგანოში წარდგენილი ჰქონდა ცნობა 33 ტრაქტორის რემონტის შესახებ, ფაქტიურად კი შეკეთებული აღმოჩნდა 14. ლაგოდეხის რაიონის ენგელსის სახელობის კოლმეურნეობას შეკეთებული ჰქონდა 2 ტრაქტორი, ზემდგომ ორგანოს კი ცნობა გაეგზავნა 9 ტრაქტორის რემონტზე. ასეთი მავნე პრაქტიკა ძირშივე უნდა აღიკვეთოს.

აღსანიშნავია, რომ ზოგიერთი სარემონტო-სატრაქტორო სადგური კეთილსინდისიერად არ ასრულებს კოლმეურნეობათა დაკვეთებს, დაბალხარისხოვნად ასრულებს ტრაქტორებისა და სხვა მანქანების რემონტს. ამ მხრივ ბევრი სასაკვედურო აქვთ ბოლნისის, სამტრედიის, გუდაუთისა და ზოგიერთი სხვა რაიონის სარემონტო-ტექნიკური სადგურების ხელმძღვანელებს.

გაზაფხულის ამ დამდეგს ზედმიწევნით უნდა მოვიფიქროთ, თუ როგორ გამოვიყენოთ უკეთესად ტექნიკა, უზრუნველყოთ მინდვრის სამუშაოთა კომპლექსური მექანიზაცია. ახლა ამოცანა ის არის, რომ შევისწავლოთ და ფართოდ გამოვიყენოთ მოწინავე კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების, ჩვენს ქვეყანაში ცნობილი შესანიშნავი მექანიზატორების ა. გიტალოვის, ნ. მანუკოვსკის და სხვათა გამოცდილება, რომელმაც მაღალი შეფასება მიიღო სკკპ ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმზე.

შვიდწლედის მეორე წლის გაზაფხულზე ჩვენი რესპუბლიკის ბევრი რაიონის სოფლის მეურნეობის მუშაკები გეგმავენ გამოავლინონ და აამოქმედონ მარცვლეულის გადიდების დიდი რეზერვები, რომლებიც ენამ სრულყოფილად არ ჰქონიათ გამოყენებული. საქმე ეხება მარცვლეული და სხვა კულტურების ნათესების გადიდებას ახალი მიწების ათვისებით, ნაწყვეტალის მაქსიმალურად გამოყენებით. მარცვლეულის საერთო მოსავლის გადიდების და პირუტყვისათვის საკვების დაგროვების უდიდეს, ეეშმარიტად დაუშრეტელ შესაძლებლობას სახავს სიმინდის ნათესების გაფართოება. ამ მხრივ მოწონებისა და ყოველმხრივ მხარდაჭერის ღირსია ძვირფასი თაოსნობა ყვარლის რაიონის სოფლის მეურნეობის მოწინავეებისა, რომელებმაც ვალდებულება იკისრეს ენლს სამარცვლედ დათესონ 4.500 ჰექტარი სიმინდი ნაცვლად შარშან დათესილი 3.200 ჰექტარისა და ჰექტარზე მიიღონ სულ მცირე 35-40 ცენტნერი მარცვალი, ხოლო ნაწვერალზე დათესონ რძიან-ოდოში სასილოსე, სიმინდის ახალებად 5.000 ჰექტარი ნაცვლად 1959 ენლს დათესილი 2.510 ჰექტარისა და უზრუნველყონ ჰექტარზე 350 ცენტნერი მწვანე მასის მიღება.

ნათქვამია, გუთნისდედა თუ კარგია, მეხრეს მაზინ უხარიაო. ახალ პირობებში გუთნისდედად ჩვენ ვგულისხმობთ კოლმეურნეობათა უნარიან მესვეურებს, ხოლო მეხრეებად ჩვენს შესანიშნავ მექანიზატორებს, მხვნელ-მთესველებს. კოლმეურნეობის თავმჯდომარეთა გამჭრიახობასა და ორგანიზატორულ უნარზეა დამოკიდებული საგაზაფხულო ხვნა-თესვის წარმატება, უხვი მოსავლის მიღების ბედი. საჭიროა ადგილებზე კარგად ვასწავლოთ კადრებს ტექნიკის სრულყოფილად გამოყენება, სწორი კვადრატების მიღება, კარგი თესლის მომზადება, ნათესებში საჭირო რაოდენობით ადგილობრივი სასუქების შეტანა, სიმინდის მოყვანის ყველა სამუშაოს მექანიზაციის განხორციელება. ეს საკითხები ადგილობრივი პარტიული, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოების ყურადღების ცენტრში უნდა იდგეს.

გაზაფხული ახალი ძძლავრი შემოქმედებითი შრომისაკენ გვიხმობს. ვასახელოთ დიდა-სამშობლო მიმდინარე წელს ყველა სასოფლო-სამეურნეო კულტურის უხვი მოსავლის მიღებით!

# ჩვენი დღეების გმირები

ლენინის ორდენოსნები: მარიამ მაისურაძე (თბილისის ფაბრიკა „საქტრიკოტაჟის“ მკერავი) და ციალა კვირიკაშვილი (თბილისის სართავსატრიკოტაჟო კომბინატის მჭოველი).

# ლენინური საღამოები თბილისში

**რუსთაველის** სახელობის საკონცერტო დარბაზში 11 მარტს შეიკრიბნენ თბილისის წარმოების მოწინავეები, დაწესებულებათა და სასწავლებელთა, შემოქმედებითი ორგანიზაციების კოლექტივების წარმომადგენლები, პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული მუშაკები, საბჭოთა არმიის მეომრები, სტუდენტები. ისინი აქ მოვიდნენ ლენინის ხსოვნის მეორე საღამოზე, რომელიც მოაწყო საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტმა სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალთან, ვ. ი. ლენინის ცენტრალური მუზეუმის თბილისის ფილიალთან და პოლიტიკური და მეცნიერული ცოდნის გამავრცელებელი საზოგადოების თბილისის განყოფილებასთან ერთად.

ლექცია „კომუნისტური მშენებლობის ლენინური გეგმა და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ბრძოლა კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნისათვის“ წაიკითხა საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხ. გ. გეგეშიძემ.

— კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს დიდმა დამაარსებელმა ვ. ი. ლენინმა, — აღნიშნა ამხ. გეგეშიძემ, — ჩვენი ხალხი შეაიარაღა ახალი ცხოვრების მშენებლობის ნათელი და ყოვლისმომცველი პროგრამით. ვლადიმერ ილიას-ძე ლენინმა მარქსიზმ-ლენინიზმი აიყვანა განვითარების ახალ, უმაღლეს საფეხურზე, შეიმუშავა სოციალიზმისა და კომუნიზმის მშენებლობის უმნიშვნელოვანესი თეორიული, პოლიტიკური და ეკონომიური პრობლემები.

საბჭოთა ადამიანების უსაზღვრო სიყვარულზე ლენინისადმი — მასწავლებლისა და ბელადისადმი, მათის ურყევ ერთგულებაზე კომუნიზმის იდეებისადმი ლაპარაკობდნენ საღამოზე გამოსული ლენინის სახელობის ელმავალსაშენებელი ქარხნის კომუნისტური შრომის ბრიგადის ხელმძღვანელი გ. ჩადუნელი, თბილისის საელმავლო დეპოს ინსტრუქტორ-მემანქანე, სოციალისტური შრომის გმირი გ. ბოგვერაძე, სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონსაშენებელი ქარხნის ძველი კადრის მუშა დ. ამირანაშვილი, კოტონის წინდის ფაბრიკის ბრიგადირი ა. ხერუვიმოვა. (საქდესი).

# უკიბწყლების ფლეიტებზე სიტყვას ვიძლევით!

**საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს საწარმოთა და მშენებლობათა მუშების, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკებისა და მოსამსახურეების სოციალისტური ვალდებულებანი 1960 წლისათვის**

**1960 წლის 25 დეკემბრისათვის შეასრულონ 57,9 ათასი კვადრატული მეტრი საბინაო ფართობის**

**რესპუბლიკის** საწარმოებში სულ უფრო ფართოდ ჩაღდება სოციალისტური შეჯიბრება ვ. ი. ლენინის დაბადების 90 წლისთავისა და საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 40 წლისთავის აღსანიშნავად და კისრულობენ გადიდებულ ვალდებულებებს. საქართველოს მშრომელები თავდადებით იბრძვიან შვიდწლედის მეორე წლის დავალებათა ვადამდე შესრულებისათვის.

საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს მრეწველობისა და მშენებლობათა მუშაკებმა, გულდასმით გამოიანგარიშეს რეზერვები, აწონ-დაწონეს თავიანთი შესაძლებლობანი და 1960 წლის სახელმწიფო გეგმის ვადამდე შესრულების უზრუნველსაყოფად იკისრეს შემდეგი ვალდებულებანი:

**სამრეწველო პროდუქციის გამოშვების წლიური გეგმა შეასრულონ 25 დეკემბრისათვის და გეგმის გადამეტებით გამოუშვან რამდენიმე ასეული მილიონი მანეთის პროდუქცია.**

**70 მილიონი მანეთით შეამცირონ მთელი სასაქონლო პროდუქციის თვითღირებულება.**

**1964 წელს მიაღწიონ პროდუქციის წარმოებისა და შრომის ნაყოფიერების იმ დონეს, რომელიც დაგეგმილია 1965 წლისათვის.**

საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს ფაბრიკა-ქარხნების კოლექტივები ვალდებულებას კისრულობენ 1960 წელს გეგმის გადამეტებით გამოუშვან:

**მანქანათსამშენებლო, ელექტროტექნიკურ და ხელსაწყოთ-სამშენებლო მრეწველობაში:** რამდენიმე ათეული უნივერსალური ჩარხი, სპეციალური ჩარხი, ელექტრომავალი, ტრაქტორი, 25 ჰიდრავლური ტუმბო ღვინის მრეწველობისათვის, 5 მიწასაწოვი დანადგარი; 2,5 ტონა მიკალენტი და 8.100 ცალი სხვადასხვა ელექტროავტომატი.

მარგანეცის მრეწველობაში: ათეულ ათასობით ტონა სასაქონლო მარგანეცი, მათ შორის 25 ათას ტონაზე მეტი უმაღლესი ხარისხისა.

ნავთობის მრეწველობაში: ღრმა საძიებელი ბურღვის წლიური გეგმა შეასრულონ 1960 წლის 5 დეკემბრისათვის;

მსუბუქ მრეწველობაში: 90 ტონა მაგარი ტყავის საქონელი, 100 ათასი წყვილი ფეხსაცმელი, 650 ათასი კვადრატული დეციმეტრი რბილი ტყავის საქონელი; ფეხსაცმლის მრეწველობაში დანერგონ 130 ახალი მოდელი და ფასონი, მათ შორის სამკერვალო მრეწველობაში—100 და ტყავგალანტერიის მრეწველობაში — 35.

ხის დამმუშავებელ მრეწველობაში: 2.500 ათასი მანეთის ავეჯი და 100 ათასი კვადრატული მეტრი ანათალი ფანერა;

აითვისონ ახალი პროდუქციის წარმოება: 2 ოთახიანი ბინებისათვის მცირეგაბარიტიანი ავეჯის კომპლექტი და სახტუმრო ოთახის ავეჯის კომპლექტი.

საშენმასალათა მრეწველობაში: 40 ათასი ტონა ცემენტი, 10 მილიონი ცალი პირობითი აგური და 15 ათასი კვადრატული მეტრი მოსაპირკეთებელი ფილები.

საფეიქრო მრეწველობაში: 200 ათასი მეტრი აბრეშუმის ქსოვილები, 45 ათასი მეტრი შალის ქსოვილები, 130 ტონა ბამბის ნართი, 185 ათასი წყვილი წინდის ნაკეთობა, 80 ათასი ცალი ტრიკოტაჟის ნაკეთობა; მნიშვნელოვნად გაადიდონ პირველი ხარისხის საფეიქრო ნაწარმის გამოშვება.

ჩაის მრეწველობაში: გეგმის გადამეტებით გამოუშვან 1.500 ტონა მაღალხარისხოვანი ბაიხაო ჩაი.

საკონსერვო მრეწველობაში: 1 მილიონი პირობითი ქილა უმაღლესი ხარისხის ბოსტნეულისა და ხილის კონსერვები, 800 ტონა შაქარი; 3 პროცენტის გადაჭარბებით შეასრულონ უმაღლესი ხარისხის კონსერვების გამოშვების დავალება.

ხორცის მრეწველობაში: გამოუშვან 5 მილიონი მანეთის ხორცისა და ძეხვის პროდუქცია; თბილისის მეფრინველეობის ფერმაში — 30 ტონა ფრინველის ხორცი და 1.200 ათასი კვერცხი;

სამტრესტის საბჭოთა მეურნეობების ხაზით სახელმწიფოს ჩააბარონ 2-ჯერ მეტი, კონსერვტრესტის საბჭოთა მეურნეობების ხაზით 2,5-ჯერ მეტი და საქართველოს მცენარეული ცხიმეთერზეთის ტრესტის საბჭოთა მეურნეობების ხაზით 3-ჯერ მეტი ხორცი, ვიდრე გათვალისწინებულია გეგმით 1960 წლისათვის.

ვადამდე, 1960 წლის 15 დეკემბრამდე, დანერგონ 238 ღონისძიება ახალი ტექნიკის დარგში, მათ შორის: შრომატევად სამუშაოთა მექანიზაციის დარგში — 107 და საწარმოო პროცესების ავტომატიზაციის დარგში — 64.

საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს სამშენებლო ორგანიზაციები ვალდებულებას კისრულობენ:

**ამიერკავკასიის მეტალურგმშენის, ჭიათურმარგანმშენის, საქართველოს შახტმშენის ტრესტებში და თბილისის სამშენებლო სამმართველოს ხაზით სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა მოცულობა შეასრულონ 1960 წლის 27 დეკემბრისათვის, ამავე დროს უზრუნველყონ ასამუშავებელი ობიექტების ამუშავება დადგენილ ვადებში;**

**საექსპლოატაციოდ გადაცემის დადგენილი გეგმა; 2 პროცენტის გადაჭარბებით შეასრულონ შრომის ნაყოფიერების ზრდის დადგენილი საგეგმო დავალება.**

საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს საპროექტო ორგანიზაციების მუშაკთა ვალდებულებაა;

**1960 წლის 20 დეკემბრისათვის შეასრულონ საპროექტო-საძიებო სამუშაოთა წლიური გეგმა; გეგმით გათვალისწინებულთან შედარებით 3 პროცენტით შეამცირონ საპროექტო-საძიებო სამუშაოთა თვითღირებულება; სამუშაო ნახაზების დამუშავებისას საპროექტო დავალებასთან შედარებით 1 პროცენტით შეამცირონ დაპროექტებული ობიექტების მშენებლობის ღირებულება.**

ეს სოციალისტური ვალდებულებანი განხილული და მიღებულია საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს საწარმოთა, ორგანიზაციათა და მშენებლობათა კოლექტივების მიერ.

საქართველოს ეკონომიური ადმინისტრაციული რაიონის საწარმოთა, მშენებლობათა და ორგანიზაციათა მუშებმა, ინჟინერ-ტექნიკოსებმა და მოსამსახურეებმა, იკისრეს რა ზემოაღნიშნული ვალდებულებები, სოციალისტურ შეჯიბრებაში გამოიწვიეს აზერბაიჯანისა და სომხეთის სახალხო მეურნეობის საბჭოები.

**გაზაფხული** თბილი. მშრალი ამინდია. საკოლმეურნეო მინდვრებსა და ზვრებში შემოქმედებითი შრომაა გაჩაღებული. მიმდინარეობს ბალ-ვენახების დამუშავება, საგაზაფხულო კულტურების შერჩევით თესვა, წესრიგში მოყავთ საკვლევსობურო მეურნეობა.

კრწანისის მებოსტნეობის საბჭოთა მეურნეობაში დიდი სამუშაოები მიმდინარეობს ხეხილის ბაღებში, ბოსტნეულის ნაკვეთებში, მებაღეები ახუფთავებენ მცენარეებს.

**სურათზე:** ხეხილის ბაღების მწკრივთა შორის ხვნა კრწანისის მებოსტნეობის საბჭოთა მეურნეობაში. (მარცხნიდან) აგრონომი მერი ცხოიძე და უბნის უფროსი ლავრენტი თურმანიძე.

ფოტო შ. ჩხეტიანისა.

# დიდი ცხოვრების ფურცლები

**ახლოვდება** ყველა ქვეყნის მშრომელთა საყვარელი ბელადისა და მასწავლებლის ვ. ი. ლენინის დაბადების 90-ე წლისთავი. საბჭოთა ხალხი, მთელი პროგრესული კაცობრიობა ემზადებიან ზეიმით აღნიშნონ ეს ღირსშესანიშნავი თარიღი.

ჩვენს რესპუბლიკაში დღითიდღე სულ უფრო ფართოვდება ვ. ი. ლენინის დაბადების 90-ე წლისთავისათვის მზადება. საწარმოებსა და კოლმეურნეობებში უკვე დიდი ხანია დადგენენ ლენინურ ვახტზე. აგიტატორები და პროპაგანდისტები, ლექტორები და პოლიტიკური მომსახურებლები ფართოდ მოუთხრობენ მშრომელებს დიდი ბელადის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ. საქართველოს კპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიის ისტორიის ინსტიტუტი — სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის ფილიალი — უახლოეს დროში გამოუშვებს კრებულს „მოგონებანი ვ. ი. ლენინზე". კრებულში შეტანილ მოგონებათა უმრავლესობა დაწერილია ბოლშევიკ-რევოლუციონერთა ძველი გვარდიის სახელოვან წარმომადგენელთა მიერ, რომელთაც დიდი ბედნიერება ჰქონიათ ემუშავნათ ვ. ი. ლენინის ხელმძღვანელობით, ლენინთან ერთად. ამ ქართველი ბოლშევიკებიდან ბევრი ძალიან ახლო ურთიერთობაში იყო ვ. ი. ლენინთან.

რედაქცია დღეიდან იწყებს აღნიშნული კრებულის მიხედვით ცალკეული მოგონებების ბეჭდვას. ქვემოთ ვაქვეყნებთ შ. მახარაძისა და ლ. ქიაჩელის მოგონებებს შეუმოკლებლად.

ქართველმა ხალხმა დიდი ლენინისადმი სიყვარულის ნიშნად ზემო ავჭალის ჰიდროელექტროსადგურს უწოდა ვ. ი. ლენინის სახელი და იქვე აღმართა ბელადის ერთ-ერთი პირველი დიდი ძეგლი საქართველოში. სურათზე: ვ. ი. ლენინის ძეგლი.

## ლენინთან...

ფილიპე მახარაძე

**1921** წლის 15 თებერვალს 16 თებერვალს ამხანაგმა სტალინმა დამიბარა და მაცნობა, საქართველოს ერთ-ერთ რაიონში გლეხთა აჯანყებაა, ეს აჯანყება სწრაფად იზრდება, ისე რომ საქართველო უკვე საბჭოთა ქვეყანა ხდებაო. ამასთან დაკავშირებით წინადადება მეძლეოდა საქართველოში წავსულიყავი, თანაც წინასწარ მენახა ვ. ი. ლენინი.

მთელმა ამ ამბავმა აღმაფრთოვანა. ეს ნიშნავდა, რომ ხორციელდებოდა ჩემი სანუკვარი სურვილები და მისწრაფებანი ან, ყოველ შემთხვევაში, ახლოვდებოდა მათი განხორციელება. ჩემს სიხარულს განსაკუთრებით აძლიერებდა მომავალი შეხვედრა დიდ მასწავლებელთან. მიუხედავად იმისა, რომ, დაწყებული 1917 წლის აპრილის კონფერენციით, მე საკმაოდ ხშირად მქონდა შესაძლებლობა მენახა ლენინი და მომესმინა მისთვის, როცა ის გამოდიოდა ყრილობებზე, კონფერენციებზე, თათბირებზე და ა. შ., პირადად მას პირველად უნდა შეხვედროდი.

როგორც ეს შეხვედრა, ისე სიტყვები, რაც მან მაშინ მითხრა, არასოდეს არ წარიშლება ჩემს მეხსიერებაში.

მან, უწინარეს ყოვლისა, მითხრა, თქვენი წასვლისათვის ყველაფერი გამზადებულია, ვაგონი და ყოველივე დანარჩენიო. მან მიმითითა, უნდა იჩქაროთო, და რუკაზე მიჩვენა, თუ რომელი მარშრუტით სჯობდა გამგზავრება. „აჯობებდა კავკაზზე გავლით საქართველოს სამხედრო გზითო" (სამწუხაროდ, ეს გზა მაშინ შეკრული იყო ნამქერის გამო, რაც მხოლოდ კავკაზში შევიტყე). შემდეგ მან ხაზი გაუსვა: საქართველო წვრილბურჟუაზიული ქვეყანაა, მენშევიზმის ქვეყანაა, ძალიან ფრთხილად უნდა იმოქმედოთ. უწინარეს ყოვლისა ყურადღება უნდა მიაქციოთ ეროვნული და მიწის (გლეხთა) საკითხის გადაჭრასო. „თქვენ ახლა იცით რუსეთის გამოცდილებით, თუ როგორ უნდა გაკეთდეს ეს, მაგრამ რსფს რესპუბლიკის გამოცდილების შაბლონურად გადაღება საჭირო არ არის. ნიმუშად აიღეთ ჩვენი გამოცდილება და შეუფარდეთ იგი თქვენს პირობებს". დასასრულ ვლადიმერ ილიას-ძემ მთხოვა სისტემატურად მიგვეწოდებინა ინფორმაცია ყველა უმთავრეს საკითხზე, ამასთან მორჩია შემოგვეღო საამისოდ განსაკუთრებული შიფრი. მე ეს შიფრი იქვე ჩავწერე და, როგორც მახსოვს, მხოლოდ ერთხელ ვისარგებლე მით, თბილისში ჩამოსვლის პირველ დღეებში.

მესაუბრებოდა იგი აგრეთვე პარტიაში არსებულ მდგომარეობაზე, მომავალ X ყრილობაზე. დაინტერესებული იყო ჩემი ახრით ტროცკის დისკუსიაზე ზინოვიევთან და ა. შ. გამოთხოვებისას გადამეხვია.

18 თებერვალს (ახ. სტ.) სპეციალური ვაგონით სხვა ამხანაგებთან ერთად საქართველოში გამოვემგზავრე. ვაგონში ჩვენ 20-ზე მეტი ამხანაგი ვიყავით, თითქმის ყველა ქართველნი. დიდხანს მივდიოდით. ბაქოში ამხ. ს. ორჯონიკიძე შემოგვიერთდა. თბილისში მხოლოდ 6 მარტს ჩამოვედით.

## შეხვედრა იღიჩთან

ლეო ქიაჩელი

**ამ ცოტა** ხნის წინათ ჩემი ყურადღება მიიპყრო ცნობილი ფრანგი მწერლის და ხაზოგადო მოღვაწის ანრი ბარბიუსის ნარკვევმა „ლენინზე", რომლის რუსული თარგმანი დაიბეჭდა ჟურნალ „ინოსტრანნაია ლიტერატურას" აპრილის ნომერში. პირველად იგი გამოქვეყნდა წინასიტყვაობის სახით წიგნში „ლენინის მიწერ-მოწერა მახლობლებთან", რომელიც 1936 წელს გამოიცა პარიზში. ამ ნაშრომის პირველსავე აბზაცში კკითხულობთ:

„თითქმის მეოთხედი საუკუნის შანძილზე ლენინი თანდათან, ნელნელა ამზადებდა ყველაზე გასაოცარ გადატრიალებას კაცობრიობის ისტორიაში... მთელი ამ წლების მანძილზე იგი მუდამ იყო მოძრაობის ეშმაკრიტი ბელადი და სულისჩამდგმელი: ლენინი იყო ის, ვისი მოზომილი, გადამწყვეტი დარტყმითაც 1917 წლის ოქტომბერში გარდაიქმნა მთელი ქვეყნიერების სახე. შეიცვალა მსოფლიო ისტორიის მდინარება. მსოფლიოს რუკაზე კაპიტალისტურ ქაოსში გაჩნდა სოციალისტური ქვეყანა..."

უეჭველია, ჩვენს დროში ვ. ი. ლენინის — იმავე ა. ბარბიუსის მოსწრებული გამოთქმით, ამ „თანამედროვე ისტორიის გიგანტის", — დიდი დამსახურება უფრო მკაფიოდ და ხრულად წარმოგვიდგება კომუნისტური პარტიის და საბჭოთა მთავრობის ღონისძიებათა წყალობით, რომლებიც იმ მიზნით ხორციელდება, რომ ხალხს ფართო მასებმა ყოველმხრივ და ღრმად გაიცნონ როგორც ძლევამოსილი ოქტომბრის რევოლუციის ეპოქა, ისე მისი უკვდავი სულისჩამდგმელის მოღვაწეობა.

ამ მხრივ მცირე როლს როდი შეასრულებენ იმ თანამედროვეთა მოგონებანი, ვინც შეხვედრია ან პირადად იცნობდა ვ. ი. ლენინს მისი ცხოვრების სხვადასხვა პერიოდში.

მე ვამაყობ, რომ ვიკუთვნი ამ უკანასკნელთა რიგებს და შემიძლია ჩემი პატარა წვლილი შევიტანო მოგონებებში ლენინის შესახებ. რადგან დიდი ადამიანის სახეში შენიშნულ ყოველ, თვით ყველაზე უმნიშვნელო ნათქვამსაც შეუძლია გაამდიდროს ჩვენი წარმოდგენა მასზე, ვბედავ მკითხველს გავუზიარო ვ. ი. ლენინთან შეხვედრით და გაცნობით მიღებული პირველი შთაბეჭდილება.

ეს მოხდა 1912 წელს ჟენევაში, რუსეთის ემიგრაციის მაშინდელ ყველაზე დიდ ცენტრში. იმ დღეს ჟენევაში Plaipalaie რაიონის Maison De peuple-თან თითქმის მთელმა ემიგრაციამ მოიყარა თავი. ყველას სწყუროდა მოესმინა ლენინის მოხსენება ეროვნულ საკითხზე. რომლის ირგვლივაც იმ დროს ცხარედ კამათობდნენ პარტიულ წრეებში. ვ. ი. ლენინი მხოლოდ ხანდახან ჩამოდიოდა ჟენევაში და კითხულობდა მოხსენებებს სხვადასხვა საკითხზე — ეკონომიურ, პოლიტიკურ, ფილოსოფიურ საკითხებზე. საღამოები, როცა ლენინი გამოდიოდა, ნამდვილი დღესასწაული იყო ემიგრანტებისათვის. იმ დღეს სახალხო სახლის კრების დარბაზი ჯერ კიდევ დაბინდებამდე ხალხით გაიკეტება. ჟურნალი დარჩენილნი ბედნიერ შემთხვევას ელოდნენ, რომ შესულიყვნენ. მათ შორის ვიყავით მე და ჩემი ქართველი მეგობრების ჯგუფი, რომლებიც არ ჯკარგავდით დარბაზში მოხვედრის იმედს.

ყველა დაგვაღონა იმ ამბავმა, რომ მოხსენებას ვერ ვესწრებოდით.

ანაზდად გვერდზე მდგომი ამხანაგის გაბარებული წამოძახილი მომესმა — ლენინი მოდის!

მთელი ჩვენი ჯგუფი დაიძრა იმ ადამიანებისაკენ, რომლებიც სახალხო სახლს უახლოვდებოდნენ. მათ შორის ნაცნობები დავინახე — უწინარეს ყოვლისა ნ. კოკნაძე, ჩემი ამხანაგი ქუთაისის გიმნაზიიდან, 1905-1907 წ.წ. რევოლუციის წინახანებში ერთად რომ ვეწეოდით არალეგალურ მუშაობას გლეხებში. დავინახე ამხანაგი კარპინსკიც, რომლის მდიდარი ბიბლიოთეკითაც ვსარგებლობდით და რომელთანაც ჩვეულებრივ ჩერდებოდა ლენინი ჟენევაში. ლენინს თან ახლდა აგრეთვე ჟოროსკი, რომელსაც ვიცნობდი მისი გამოსვლებით ლიტერატურულ საკითხებზე ემიგრანტთა წრეებში.

და აი მოხდა ისე, რომ ჩვენ პირისპირ შევხვდით Maison De peuple-ისაკენ მომავალ ჯგუფს, რომელშიც იყო აგრეთვე ლენინი. იგი მაშინვე ვიცანი, თუმცა პირველად კი ვხედავდი.

ნაცნობი ამხანაგები შეჩერდნენ, ხელი ჩამოგვართვეს. და უეცრად გავხედეს სრული მოულოდნელობისაგან: მათთან ერთად ლენინმა ჩვენსკენ გადმოდგა ნაბიჯი და ალერსიანი ღიმილით გამოგვიწოდა ხელი.

არასოდეს არ დამავიწყდება, რა მაგრად ჩამომართვა ხელი.

არ ვიცოდი, უნდა მეთქვა ჩემი გვარი თუ არა, ან სახელდობრ რომელი — ნამდვილი გვარი თუ ლიტერატურული ფსევდონიმი, რომლითაც იბეჭდებოდა ჩემი ნაწარმოებები თბილისის ქართულ გაზეთებში. რა თქმა უნდა, ნამდვილი გვარი დავასახელე.

ეგი საშუალო ტანისა იყო, ფართო მხარ-ბეჭი მის მაგარ აღნაგობას მოწმობდა. მაღალი, მრგვალი შუბლი მასიურობის შთაბეჭდილებას ტოვებდა. ჩამწვეტებული მოკლე წვერი და ოდნავ შეკრეჭილი ულვაში პატარა ბაგეთ უმშვენებდა. მის მკვრცხლ, ღრმად ჩამჯდარ თვალთა გამოხედვა გამჭრიახი და სულში ჩამწვდომი, მაგრამ გულკეთილი იყო. ისე მომეჩვენა, თითქოს ოდნავ შესამჩნევ დაღლილობას თავისი დაღი დაესვა მისი ენერგიული სახისთვის. იქნებ ეს შტრიხი დაკავშირებულია იმასთან, რომ ახლა ჩვენ ვიცით მისი კოლოსალური შრომისუნარიანობის ამბავი. დღეს საყოველთაოდ ცნობილია, რომ როცა თავის განთქმულ შრომას „მატერიალიზმს და ემპირიოკრიტიციზმს" წერდა, მან წინასწარ შვიცარიის ბიბლიოთეკის ყველა ფონდი ამოწურა, ხელახლა წაიკითხა ფილოსოფოსების თხზულებათა 200-ზე მეტი ტომი, არც ამას დაჯერდა და დამატებით მასალისათვის ლონდონს გაემგზავრა.

შევეკითხოდი ლენინს.

— რაღას ვუცდით, შევიდეთ, ამხანაგებო! — მოგვმართა მან ყველას და სახეზე ღიმილი დაეფინა. იგი სწრაფად, მთელი ტანით მიბრუნდა და მოკლე ნაბიჯებით გაემართა კრების დარბაზისაკენ.

ჩვენ ყველა მივყევით და გვიხაროდა, რომ მასთან ერთად მიმავალთ უკვე ვერავინ შეგვაჩერებდა.

და აი, იგი დგას კათედრაზე, ოდნავ უკან გადახრილი, და შთაგონებულად ლაპარაკობს.

ამჯერად მის სახეზე უკვე ჩემს ნაცნობ ღიმილს ვხედავდი, ოღონდ ახლა ის აშკარად დამცინავი (თუმცა არა ბოროტი) იყო და იმ დოგმატიკოსებს ეხებოდა, რომლებიც მას არ უყვარდა და რომლებსაც ამ წუთს ულმობლად ამხელდა თავისი რკინისებური ლოგიკით. მაღლა აწეულ მუშტად შეკუმშულ მარჯვენას იგი ისე აქნევდა, თითქოს თავისი გაბედული და ღრმა აზრების ტაქტს აყოლებსო.

მის შემდეგ მრავალმა წელმა განვლო, მაგრამ დღემდე გასაოცარი სიცხადით მაგონდება ეს დღე...

## ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲕᲐᲜᲘ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲘ

**იმ** სახელოვან საბჭოთა პატრიოტ ქალებს შორის, რომლებიც ქალთა საერთაშორისო დღის 50-ე წლისთავთან დაკავშირებით დაჯილდოებულ იქნნენ მთავრობის უმაღლესი ჯილდოთი — ლენინის ორდენით, ჩვენი რესპუბლიკიდან არის ცნობილი ქართველი მეცნიერი პროფესორი ელენე მიხეილის ასული ნანობაშვილი. იგი თავისი გამოკვლევებით რადიაციულ ქიმიაში ცნობილია მთელ საბჭოთა კავშირში, დაუღალავად ზრდის ახალგაზრდა კადრებს.

ქვემოთ მოთხრობილია ელენე ნანობაშვილის მეცნიერულ მოღვაწეობაზე.

* * *

**თბილისში** კამოს ქუჩაზე № 34 სახლში ვეწვიეთ საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამოყენებითი ქიმიისა და ელექტროქიმიის ინსტიტუტს, რომლის კოლექტივი მრავალ საინტერესო პრობლემაზე მუშაობს. ამჟამად ჩვენ გვინდოდა გვენახა პროფესორი ელენე ნანობაშვილი, რომელიც ხელმძღვანელობს მაღალი ენერგიის გამოსხივებათა და იზოტოპების გამოყენების ლაბორატორიას. მაგრამ ელენე იქ არ დაგვხვდა, იგი მოსკოვში იყო წასული ქალთა საერთაშორისო დღის 50-ე წლისთავისადმი მიძღვნილ დღესასწაულში მონაწილეობის მისაღებად.

ლაბორატორია, რომელსაც 3 ოთახი უჭირავს, ავსებულია სხვადასხვა ზომისა და ფორმის სინჯარებით, საშრობი კარადებით, ნათურებით, თერმული მოწყობილობითა და აპარატურით, მინის ჭურჭლითა და ფაქიზი, ზუსტი ხელსაწყოებით, გაკუმსაშრობი კარადებით და სხვ., რომლებსაც, რა თქმა უნდა, არაქიმიკოსი ადამიანი ვერ გაიგებს. აქ ყურადღებას იპყრობს სპეტანიანი წიგნებიც. პროფესორ ელენე ნანობაშვილის მუშაობის გასაცნობად ინსტიტუტის დირექტორის მოადგილეს ა. ავალიანსა და სწავლულ მდივანს ტ. გაბადაძეს მივმართეთ. მათ ხალისიანად გაგვაცნეს ამ დაუღალავი, ენერგიული, ნიჭიერი ქალის სამეცნიერო მოღვაწეობა.

პროფესორი ელენე ნანობაშვილი თავის კოლექტივთან — ასპირანტებთან ირინე ბატაძესა და ლალი ივანიცკისთან, ელენე ვაჩნაძესთან, დოდო გვილავასთან, ნინო ფუტკარაძესთან, ლია ბერუჩაშვილთან, გოგი ჭირაქაძესთან და სხვებთან ერთად მუშაობს მეცნიერების ერთ-ერთ რთულ და ახალ დარგში — რადიაციულ ქიმიაში, რომელმაც დიდი განვითარება ჰპოვა უკანასკნელი 15 წლის განმავლობაში. ლაბორატორიაში ისწავლება მაიონიზებელ გამოსხივებათა მოქმედება კოლოიდური სისტემების სტაბილობაზე. რეაქციების დროს დაკვირვება ხდება რენტგენული და იზოტოპური სხივების გამოსხივებაზე.

ელენე მიხეილის ასული ბაშვობიდანვე იჩენდა ინტერესს ბუნების მეტყველებისადმი, 1939 წელს ფრიადი წარმატებით დაამთავრა მოსკოვის ლომონოსოვის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქიმიური ფაკულტეტი და იქვე დარჩა ასპირანტურაში, რომელიც დაამთავრა 1942 წელს. ამავე წელს მუშაობა დაიწყო საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პ. მელიქიშვილის სახელობის ქიმიის ინსტიტუტში. 1945 წელს ქიმიურ მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხის მოსაპოვებლად დაიცვა დისერტაცია ფიზიკური და კოლოიდური ქიმიის დარგში, სამი წლის შემდეგ მიენიჭა დოცენტის სამეცნიერო წოდება და მიელინებულ იქნა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ფიზიკური ქიმიის ინსტიტუტის დოქტორანტურაში. იქ 1952 წელს ბრწყინვალედ დაიცვა სადოქტორო დისერტაცია. 1956 წელს მიენიჭა პროფესორის სამეცნიერო წოდება.

სახელოვანი ქართველი მეცნიერი ქალი დიდი გატაცებით ეწევა სამეცნიერო-კვლევითს მუშაობას. მის მიერ შესრულებულია 54 სამეცნიერო სამუშაო, რომელთაგან გამოქვეყნებულია 28. მის გამოკვლევებს რადიაციული ქიმიის დარგში დიდი მეცნიერული და პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს. უაღრესად ნაყოფიერ სამეცნიერო-კვლევითს მუშაობასთან ერთად წლების განმავლობაში ეწევა პედაგოგიურ მოღვაწეობას უმაღლეს სასწავლებლებში, მონდომებით ზრდის ახალგაზრდა კადრებს, ასპირანტებს, ცხოველ მონაწილეობას იღებს ქიმიის საკითხებზე მოსკოვში, ლენინგრადში, ტაშკენტში, კიევში, თბილისში მოწყობილ სამეცნიერო კონფერენციებსა და სესიებში. გასულ წელს იგი პარიზში დაესწრო ქიმიის V საერთაშორისო კონგრესს და სალონს (გამოფენას).

ქალი — მოწინავე მეცნიერი ისიც ასეთ რთულ დარგში... ეს მხოლოდ ჩვენს ქვეყანაშია შესაძლებელი, იქ, სადაც თავისუფალია ქალიც და შრომაც, და ადამიანებს ყველა გასაქანი აქვთ თავიანთი ტალანტების სრული გაფურჩქნისათვის.

ე. მამალაძე.

* * *

სურათზე: ე. ნანობაშვილი.



ქართულად ქვეყნდება პირველად.

სურათზე: ქ. ულიანოვსკის ვ. ი. ლენინის სახლ-მუზეუმში. მაგიდასთან ვლადიმერ ილიას-ძე ულიანოვის (ლენინის) ოთახში.

ფოტო ნ. რახმანოვისა. (საკავშირო ფოტოქრონიკა).

# კონგროლისა კომისია — დიდი ძალა

**როცა** ლაპარაკი ხამოვარდება იმაზე, რომ ქარხანამ გასულ წელს 15 მილიონამდე კილოვატსაათი ელექტროენერგიის ეკონომია გასწია, დასძენენ, რომ ამ საქმეში თავისი წვლილი პარტიული კონტროლის კომისიამაც შეიტანა. კერძოდ, კომისიის ინიციატივით მარტენისა და სხვა საამქროებში დაიდგა უფრო ნაკლები სიმძლავრის ძრავები, რომლებიც უზრუნველყოფენ დანადგარების ნორმალურ მუშაობას და ამასთანავე აღმოფხვრიან ელექტროენერგიის ზედმეტ ხარჯვას. პარტიული კონტროლის კომისიის მოთხოვნით შეიცვალა აგრეთვე ელექტროსხმულების კონსტრუქციები და სქემების ტექნოლოგია, რამაც ელექტროენერგიის დიდი ეკონომია გამოიწვია.

ახორციელებენ რა სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმის დადგენილებას სამრეწველო და სავაჭრო საწარმოების პირველად პარტიულ ორგანიზაციებთან პარტიული კონტროლის კომისიების შექმნის შესახებ, საქართველო პარტიულმა კომიტეტმა, აგრეთვე საამქროთა პირველადმა პარტიულმა ორგანიზაციებმა მთელი რიგი ორგანიზაციულ-ტექნიკური ღონისძიებანი განახორციელეს. ჩავატარეთ პარტიული აქტივის თათბირი, რის შემდეგ საამქროებში კომისიების შესაქმნელად მივამაგრეთ პარტიული კომიტეტის წევრები და აქტივი.

საამქროთა პარტორგანიზაციების კრებებზე კომუნისტებმა განსაზღვრეს მათთვის დამახასიათებელი პარტიული კონტროლის კომისიები, რომლებშიც შეიყვანეს საქმის მცოდნე და დაინტერესებული ადამიანები. თითქმის ყველა საამქროში შექმნილია ახალი ტექნიკისა და ტექნოლოგიის, საწარმოო პროცესების ავტომატიზაციისა და კომპლექსური მექანიზაციის დანერგვის, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესების, პროდუქციის თვითღირებულების შემცირების, ნედლეულისა და მასალების ეკონომიურად ხარჯვის, ქიმიისა და ქიმიური პროდუქციის გაიაფების, შრომის დაცვის, ტექნიკური უსაშიშრობის და სხვა კომისიები.

კომისიების შექმნიდან ცოტა ხნის შემდეგ პარტიულ კომიტეტში მოვაწყეთ სპეციალური სემინარი, რომლის მუშაობაში ფართო მონაწილეობა მიიღეს საამქროთა პარტიული კონტროლის კომისიების წევრებმა.

შემდეგ საამქროში დაიდგა ახალი მექანიზმები და ხელით შრომა თითქმის მთლიანად შეიცვალა. ამასთან გაუმჯობესდა წარმოების ტექნოლოგიური პროცესები.

პირველად პარტიულ ორგანიზაციებთან შექმნილი პარტიული კონტროლის კომისიების წინადადებით საბრძმედე საამქროში ავტომატიზებული იქნა ღუმელების კაუპერების გადართვა, მარტენის საამქროში განხორციელდა ახალი ღონისძიებანი.

ნაყოფიერ მუშაობას ეწევა დაკვეთების შესრულების პარტიული კონტროლის კომისია. იგი სისტემატურად ამოწმებს დაკვეთების შესრულების მიმდინარეობას, ეხმარება საამქროების პარტიულ ორგანიზაციებს და აღმინისტრაციას მეტი ყურადღებით მოეკიდონ დაკვეთების შესრულებას. პარტკომის სხდომაზე ხშირად შემოაქვთ განსახილველად ესა თუ ის მტკივნეული საკითხი. ამ კომისიის ეფექტურ მუშაობაზე მეტყველებს ასეთი ფაქტი. გასული წლის პირველ ნახევარში ქარხანაში შესრულებული არ იყო მთელი რიგი დაკვეთები. კონტროლის გაძლიერების შედეგად ეს არასახარბიელო მდგომარეობა მინიმუმამდე იქნა დაყვანილი.

ამავე კომისიის წინადადებით მილსორტულ საამქროში განაწილების უბანი გაუქმებულ იქნა და მისი ფუნქცია დაეკისრა მოპირკეთების უბანს. ამან გამოიწვია დიდძალი ხარჯების ეკონომია. აქვე არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ კომისიის მიერ საკითხის დეტალურად შესწავლის შემდეგ მარტენის საამქრო რიტმულად მუშაობს.

კარგი წინადადებები წამოაყენეს და მათი განხორციელებისათვის ენერგიული ბრძოლა გააჩაღეს მარტენის საამქროში შექმნილმა ნედლეულისა და მასალების ეკონომიურად ხარჯვის პარტიული კონტროლის კომისიამ (თავმჯდომარე ს. სიხარულიძე). ამან საბოლოო ანგარიშში ქარხანას ერთ მილიონამდე მანეთი მოგება მისცა.

ქარხანას არა ჰქონდა გოგირდმჟავას बალონების ხუფები. ამ მდგომარეობიდან თავის დაღწევის საკითხზე იმსჯელა მილსაგლინავი საამქროს პარტორგანიზაციასთან შექმნილმა ავტომატიზაციისა და მექანიზაციის პარტიული კონტროლის კომისიამ (თავმჯდომარე ამხ. უბირია). კომისია იმ დასკვნამდე მივიდა, რომ ლითონის ნარჩენებისაგან შეიძლება დიდი რაოდენობით დამზადდეს ხუფები. აღნიშნული წინადადება სისრულეში იქნა მოყვანილი, და ქარხანაშიც აღმოიფხვრა ამ მხრივ არსებული „ვიწრო ადგილი".

◆ ელექტროენერგიის ეკონომიურად ხარჯვის კომისიის ინიციატივით ქარხანაში განხორციელდა ელექტროძრავების სპეციალიზება, შეიცვალა ელექტროსხმულების კონსტრუქციები და სქემების ტექნოლოგია.

◆ ავტომატიზაციისა და კომპლექსური მექანიზაციის კომისიების ინიციატივით ფასონურ-სამსხმელო საამქროში დაიდგა ახალი მექანიზმები, რამაც შეცვალა ხელით შრომა.

პარტიული კონტროლის კომისიების საქმიანობაზე კიდევ მრავალი ფაქტის მოყვანა შეიძლება, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ მათ მუშაობაში არ იყოს ნაკლოვანებანი. ზოგიერთ საამქროში შექმნილ პარტიული კონტროლის კომისიებში ნაკლებად აროიან გაერთიანებული რიგითი მუშები, რომლებსაც უხდებათ ძირითადად ამა თუ იმ საკითხის პრაქტიკულად გადაწყვეტა. ყველა პირველადი პარტიული ორგანიზაცია როდია დინტერესებული პარტიული კონტროლის კომისიების მუშაობით. ამის შედეგია, რომ კოქსქიმიაში და სხვა საამქროებში პარტიული კონტროლის კომისიებს თითქმის არავითარი მნიშვნელოვანი ღონისძიებანი არ განუხორციელებიათ.

პირველადი პარტიული ორგანიზაციები მოწოდებული არიან წარმოებაში სისტემატურად ნერგავდნენ ყოველივე ახალს, მოწინავეს, პროგრესულს. ამ საქმეში პარტიული კონტროლის კომისიები თავიანთ ღირსეულ წვლილს შეიტანენ.

**გ. ჭამიერაშვილი,**
ამიერკავკასიის ი. ბ. სტალინის სახელობის მეტალურგიული ქარხნის პარტკომის მდივანი.

## პარტიული ქრონიკა

### მარქსიზმ-ლენინიზმის შემსწავლელთა დასახმარებლად

**პარტიის** საჩხერის რაიონული კომიტეტის პოლიტიკური განათლების კაბინეტი მნიშვნელოვან ღონისძიებებს აწარციელებს პროპაგანდისტების, კონსულტანტების, სემინარების ხელმძღვანელთა და მარქსიზმ-ლენინიზმის დამოუკიდებლად შემსწავლელთა დახმარებლად. კაბინეტში ეწყობა თეორიული კონფერენციები, თათბირ-სემინარები და კონსულტაციები იდეოლოგიური დარგის მუშაკთა დახელოვნებისათვის.

ამას წინათ პოლიტიკური განათლების კაბინეტმა შეიმუშავა ლექციების ციკლი „კალენდარული გეგმა", რომლის შესაბამისად პერიოდულად ეწყობა საინტერესო ლექციები მიმდინარე პოლიტიკის და საერთაშორისო მდგომარეობის აქტუალურ საკითხებზე. ლექციებს კითხულობს რაიონის პარტიული და საბჭოთა აქტივი.

**შ. ჯიხორაძე,**
საქართველოს კპ საჩხერის რაიკომის ინსტრუქტორი.

## კითხვა-პასუხის საღამოები

**ჟუთაისი.** (საკ. კორ.). ქალაქის პარტიული ორგანიზაციები მახობრივი პროპაგანდის სხვა ფორმებთან ერთად ფართოდ იყენებენ კითხვა-პასუხის საღამოებს.

ამ დღეებში ს. ორჯონიკიძის სახელობის საავტომობილო ქარხანაში გამართულ კითხვა-პასუხის საღამოს 410-ზე მეტი ავტომობილმშენებელი დაესწრო. საღამოსათვის მზადების პერიოდში, აგრეთვე თვით საღამოზე მრავალი შეკითხვა შემოვიდა. მშრომელთა კითხვებზე პასუხი გასცეს ქარხნის პარტიული კომიტეტის მდივნის მოადგილემ მ. ნინუამ, პროფკავშირის საქარხნო კომიტეტის თავმჯდომარემ ი. გოგოლაშვილმა, ქარხნის მთავარმა ტექნოლოგმა რ. ჭარციკიძემ, შრომისა და ხელფასის განყოფილების უფროსმა ნ. დუნდუამ, ტექნიკური სწავლების უფროსმა ნ. ვარდოსანიძემ და სხვებმა. მათ დამსწრეებს უამბეს მიმდინარე პოლიტიკისა და საერთაშორისო მდგომარეობის აქტუალურ საკითხებზე, რესპუბლიკის მრეწველობის განვითარების პერსპექტივებზე, ქარხნის კოლექტივის წინაშე შვიდწლედის მეორე წლის მდგომ ამოცანებზე.

კითხვა-პასუხის საღამოები იმართება აგრეთვე აგიტპუნქტებში, მოსახლეობის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. ეს საღამოებს ბევრი დიასახლისი და პენსიონერი ესწრება.

# პატარა წიგნი დიდი შეცდომებით

კრიტიკა და ბიბლიოგრაფია

**პროფესორ შ. რადიანის წიგნი „აკაკი წერეთელი და ქართული თეატრის პრობლემები“ მოცულობით პატარაა (98 გვერდი). მიუხედავად ამისა წიგნის ნახევარზე მეტი (54 გვერდი) ისეთ საკითხებს უჭირავს, რომელიც არაფრით არ უკავშირდება თეატრს. მაგალითად, პირველი წერილი („ახალი ესთეტიკური კონცეფციებისათვის ბრძოლაში“). აქ თავიდან ბოლომდე ლაპარაკია ი. ჭავჭავაძეს, ნ. ნიკოლაძის, გ. წერეთლის ესთეტიკურ შეხედულებებზე, ხოლო საკუთრივ ა. წერეთელს ზუსტად ათი სტრიქონი აქვს დათმობილი! წერილი არც თეატრს ეხება და არც აკაკის.**

**შ. რადიანის აზრით, „ა. წერეთლის პიესებით იწყება ახალი ხანა ქართული დრამატურგიის განვითარებაში“ (გვ. 76-77). ძალიანაც რომ ვეცადოთ, ამის დამტკიცება პრაქტიკულად არ მოხერხდება. დრამატურგიის ისტორიაში ცნობილია, როდესაც დრამატურგი „ახალ ხანას“ წყვეტს, იგი ერთვავარ შემობრუნებას ახდენს თეატრშიც. ასე იყო შექსპირი, მოლიერი, იბსენი, გორკი, ჩეხოვი, ბ. ერისთავი და სხვ. რაც შეეხება აკაკის დრამატურგიას, მას ასეთი როლი არ შესრულებია და არც ჰქონია ამის პრეტენზია. აკაკის უამისოდაც განუზომლად დიდი ღვაწლი დასდო ქართულ თეატრს.**

**არც იმის თქმაა სწორი, რომ „ა. წერეთელი არის შემქმნელი რეალისტური ყოფითი პიესებისა“. „რეალისტური ყოფითი“ პიესების შემქმნელი ქართულ დრამატურგიაში გ. ერისთავი და მისი სკოლაა...**

**შ. რადიანის წიგნში ლაპარაკია ნატურალიზმზე, როგორც ლიტერატურულ ტენდენციაზე. რადიანი მას მეტისმეტად უცნაურ, თუ განვაკეთ, ჟურნიზულ, განმარტებას აძლევს. იგი წერს: „მწერალი ნატურალისტები ხატავენ არა ადამიანების მთლიან სახეს, არამედ ცალკეულ ერთმანეთისაგან გამოთიშვით ადამიანის ნაწილებს“ (?!..— გვ. 12) მოდით და გაიგეთ, რის თქმა სურს ავტორს, რა ნაწილზეა ლაპარაკი! ასევე ზერელე და გაუმართავია რეალიზმის შ. რადიანისეული განმარტება.**

**ამას მოსდევს ასეთი დებულება: „ყოველი მწერალი, რომელიც ცხოვრობს განსაზღვრულ საზოგადოებრივ პირობებში, ყოველთვის გამოხატავს ამა თუ იმ იდეას. ამა თუ იმ წარმოდგენას ცხოვრებაზე, ამიტომ თერგდალეულები იყვნენ საქართველოში პირველი წარმომადგენლები და განზოგადების უნარი აქვთ, ეთქვათ, შექსპირს, მოლიერს, იბსენს, გორკის, ჩეხოვს და სხვა დრამატურგებს. მაშ რით განსხვავდება აკაკის დრამატურგია?...**

**შ. რადიანი მიუთითებს, „სინამდვილისადმი ერთგულება შეადგენს ამ კომედიების დამახასიათებელ თვისებასო“. განა სხვა კლასიკოსები გაურბოდნენ სინამდვილეს? ვის სჭირდება ცოცხალი აზრისაგან დაცლილი ამგვარი ტრაფარეტები?! კიდევ ერთი ფაქტი. შ. რადიანი ზმრად ისეთ კონტექტში განიხილავს პიესებს, რომ ვერ გიგებთ, რის თქმა სურს, აქებს თუ აკრიტიკებს ნაწარმოებს. გეგონებათ პიესას აქებსო, მაგრამ სინამდვილეში მისი უარყოფა გამოდის. მაგალითად, „თამარ ცბიერსა“ და „პატარა კახზე“ წერს, რომ ეს პიესები ისე არ არის დაწერილი, როგორც ლესინგმა ერთი ავტორის შესახებ თქვა: „მესამე და მეოთხე, მეოთხე და მეხუთე მოქმედებებს შორის არ ხდება ისეთი რამ, რაც იყო მოსალოდნელი, არამედ საერთოდ არაფერი არ ხდება, და ორივე მოქმედება — მესამე და მეოთხე მთავრდება ზმლოდ იმისათვის, რომ დაიწყოს მეოთხე და მეხუთე მოქმედება“. სწორედ უცნაური ლოგიკაა! ვითომ რატომ უნდა იყოს აკაკის ეს პიესები ასე უაზრო, ან რა ღირსებაა, რომ ამგვარი არ არის „თამარ ცბიერი“ და „პატარა კახი?“.**

**დასასრულ ერთ საგულისხმო მომენტზეც უნდა შევჩერდეთ. კარგად მოეხსენება პროფ. შ. რადიანს, რომ სერიოზულ შრომაში, როდესაც სხვისი აზრი მოგვყავს, აუცილებელია ზუსტად იქნას მითითებული წყარო, ციტატა ჩასმულ იქნას ბრჭყალებში, ერთი სიტყვით, მოგვარდეს წიგნის მეცნიერული აპარატურა. ეს უბრალოდ ტექნიკური საქმე რიდია. სამწუხაროდ, წიგნი ამ მხრივ საცოდავს. ხშირად ავტორი რატომღაც ბრჭყალებში არა ვვამს ციტატას, ზოგჯერ არც წყაროს მიუთითებს. ა. წერეთელს უწერია: „განუვითარებელი ნიჭი ფრთაშეკვეცილი შევარდენია, რომელიც მაღლა ვეღარა ფრენს და დაბლა სიარულსაც ვერ ახერხებს. როგორც ყვავილი უცაურნამოთ, ისე ნიჭი უსულიერსაზრდოდ სჭკნება...“ (გვ. 128). ზუსტად ოგივე უწერია შალვა რადიანს: „განუვითარებელი ნიჭი — ფრთაშეკვეცილი შევარდენია, რომელიც მაღლა ვეღარა ფრენს და. დაბლა სიარულსაც ვერ ახერხებს. როგორც ყვავილი უცაურნამოთ, ისე ნიჭი უსულიერსაზრდოდ სჭკნება“ (გვ. 68).**

**ჩვენ შეიძლება ამაზე არაფერი გვეთქვა, რომ ყოველივე ეს პირველი შემთხვევა იყოს პროფ. შ. რადიანის ლიტერატურულ მოღვაწეობაში.**

**პროფესორ შალვა რადიანის წიგნში უხვად არის სხვა ნაკლი და ხარვეზებიც, მაგრამ, ვფიქრობთ, სურათი ისეც ნათელია. ჩვენ შორისა ვართ იმ აზრისაგან, თითქოს შეიძლება ყოველი წიგნი ან წერილი ერთნაირად მაღალ დონეზე იდგეს და რაიმე ნაკლოვანება არ ახასიათებდეს. არა. მაგრამ ისე როგორც სხვა დარგში, დღეს თეატრმცოდნეობაშიც არსებობს გარკვეული დონე, რომლის დაცვა მოეთხოვება ყველას.**

**გულისტკივილით გვიხდება იმის აღნიშვნა, რომ შ. რადიანის კეთილშობილური განზრახვა — შეექმნა ნაშრომი „აკაკი წერეთელი და ქართული თეატრის პრობლემები“ უშედეგო აღმოჩნდა. მკითხველმა ვერ მიიღო სასურგებლო წიგნი ლიტერატურის ცნობილი სპეციალისტისაგან.**

**ვ. კიკნაძე.**

# ვინც დღის სინათლეს ემალება...

**ბრიბოედოვის თეატრის ახალი სპექტაკლი — „თხუნელა“**

**ოთარ ჩიჯავაძის პიესა „თხუნელა“ დაიბეჭდა საკავშირო ჟურნალ „თეატრის“ ფურცლებზე. იგივე ნაწარმოები უკვე რამდენიმე კვირაა იდგმება გრიბოედოვის სახელობის სახელმწიფო თეატრის სცენაზე. სპექტაკლს მრავალი მაყურებელი ესწრება. დარბაზში ხშირად ისმის სიცილი, ტაში, შეძახილები.**

**ოთ. ჩიჯავაძის პიესის თემის აქტუალობას ვერავინ ვერ უარყოფს, ავტორის ნაწაყიქრით, „თხუნელა“ არის სატირული კომედია, თავისი მახვილით მიმართული მეშჩანობისა და ბიუროკრატიზმის წინააღმდეგ. ჩვენს საზოგადოებაში ჯერ ხომ კიდევ გვხვდებიან იმგვარ გრძნობათა მატარებელი ადამიანები, რომლებიც თავიანთი ეგოისტი მოქმედების გამო მზის სინათლეს გაურბიან და თხუნელასავით მიწაში მიძვრებიან. სწორედ ასეთ ადამიანებს დასცინის დრამატურგი.**

**სპექტაკლის დასაწყისშივე ეცნობით მის მთავარ გმირს სანდრო ქორიძეს (მ. პიასეცკი), თანამდებობის პირს, რომელიც საკმაოდ უდარდელ ცხოვრებას ეწევა — ეს არის ქეიფი, მსუბუქი ფლირტი და ა. შ. წიგნების კითხვით გართული ცოლი, სტუდენტი ქალიშვილი, ერთგული მოხუცი გამდელი, გაელენიანი ადგილი, საკუთარი სახლი და მანქანა — რაღა აკლია სანდრო ქორიძეს იმისათვის, რომ იყოს ბედნიერი ადამიანი? მაგრამ სინამდვილეში ეს უბედური და უბადრუკი ადამიანია, ტიპიური ბიუროკრატი და ფილისტერი, თანაც ფრიად გონებაშეზღუდული. სწორედ ამიტომ იგი კინაღამ წამოეგო იმ პროვოკაციაზე, რომელსაც უწყობდა მას უსაქმური ახალგაზრდა, „მზრუნველი“ მამის მიერ განებივრებული ზურაბი.**

**სანდრო ქორიძეს განასახიერებს მსახიობი მ. პიასეცკი, რომელიც ცდილობს გვიჩვენოს ამ ბიუროკრატისა და ტიპიური ობივატელის სრული შინაგანი სიცარიელე და სიყალბე. მაგრამ მ. პიასეცკის თამაშს ემჩნევა თვალსაჩინო ნაკლი: იგი სათანადო სიღრმით ვერ ხსნის სანდრო ქორიძის სახეს და უფრო მაყურებლის რეაქციაზე თამაშობს, დარბაზის სიცილზე მეტად ზრუნავს, ვიდრე გმირის სცენურ დახასიათებაზე. ამაში კი მას ვერ დავეთანხმებით. მაყურებელს უფრო გააცინებდა სანდრო ქორიძის ყალბი ტრაგედიის წინა პლანზე წამოწევა და არა მ. პიასეცკის გადაჭარბებული მიმიკა და ექსტიკულაცია.**

**ოთ. ჩიჯავაძემ საკმაოდ სასაცილო სიტუაციებში ჩააყენა მეშჩანური წყობილ ადამიანები, რომლებიც აღიარებენ ფულის ყოვლისშემძლეობას, და სიცილის იარაღით შეებრძოლა ამ მეშჩანებს და ბიუროკრატებს, რაც მაყურებლის უდავო სიმპათიასა და თანაგრძნობას იმსახურებს. შეიძლება მხოლოდ აღინიშნოს ძირითადი „კოლიზიის“ ხელოვნურობა და ნაკლები დამაჯერებლობა: სანდრო ქორიძემ მინქანით ხბო გაიტანა, მაგრამ ეს ხდება სიბნელეში; მას თავი კაცისმკვლელად წარმოუდგება და დიუფლება კომშარული ფიშის გრძნობა, იგი გარბის სოფლად და ა. შ.**

**საყოველთაოდ აღიარებულია სიცილის დიდი სოციალური ძალა. აქვე გვინდა მოვიგონოთ ფრანსუა რაბელეს მშვენიერი სიტყვები: „სიცილი სჯობს ტირილს, რადგან სიცილი უფრო ადამიანური თვისებაა“. სიცილი მრისხანე იარაღია, თუკი იგი მიმართულია ყოველივე ძველისა და დახავსებულის წინააღმდეგ. მაგრამ ეს სიცილი უნდა იყოს გაბრწყინებული, მოვლენათა საზოგადოებრივი აღქმისა და განცდის დონემდე აყვანილი და არა ზოოლოგიური.**

**ამას სათანადოდ ვერ ითვალისწინებენ დრამატურგი ოთ. ჩიჯავაძე და დამდგმელი რეჟისორი მ. ოლშანიცკაია. ამიტომ როგორც პიესის ტექსტში, ისე სპექტაკლში შემოპარული იაფფასიანი ეფექტები და უხეში ფარსის ელემენტები (მაგალითად, სათაკილოა სახის და ბალიშისპირის შედარება პიესის დასაწყისში, ვულგარულია სცენა, როდესაც ქორიძეპიასეცკი შარვალს იხდის შუა სცენაზე).**

**ოთ. ჩიჯავაძე საერთოდ ნიჭიერად, გარკვეული დრამატურგიული ხერხების მომარჯვებით ახერხებს უარყოფითი პერსონაჟების სატირულ დახასიათებას, მაგრამ იმავეს ვერ ვიტყვით მის დადებითს პერსონაჟებზე — „ადამიანზე“ (ი. შევჩუკი) და, ნაწილობრივ, სანდრო ქორიძის ქალიშვილ ლიანაზე (ვ. სიომინა). ავტორის დადებითი იდეალების მატარებელი პერსონაჟი — „ადამიანი“ ძლიერ სქემატური და უფოქმელია, თანაც ეს სცენური სახე მეტისმეტად გადატვირთულია უადგილო გარეგნული კომიზმით. ეს ხელს უშლის მსახიობებს თავიანთი სცენიერ შესაძლებლობათა გაშლაში. ი. შევჩუკი როგორღაც მაინც ახერხებს დაგვაჯეროს თავისი გმირის ჭეშმარიტ ადამიანობაში. მაგრამ ეს მსახიობის დამსახურებაა და არა დრამატურგისა და რეჟისორისა.**

**მაინც მისასალმებელია მძაფრი თანაგრძნობა, შემოგვაღამდა და რომელიღაც საკვლევ დაწესებულებას მივაშურეთო. იქ ლაბორატორიაში ხელპირი დაუბანიათ, ტანსაცმელი გამოუცვლიათ, დაპურებულან კიდეც და შემდეგ ქალაქსაკენ გამგზავრებულან. დიდი ცმაყოფილებით იგონებდა ამ მოგზაურობას, მისი სიტყვებით რომ ვთქვათ, „საფრანგეთივით ლამაზ საქართველოში“. სწორედ იშვიათი შეხვედრა იყო! რა იცოდა მან, რომ ხორბლის თავთავებს იგი ალაზნის ველზე აგრეთვე, სტუმრად თელავის მეღვინეობა-მეღვინეობის ინსტიტუტში იყო, ხოლო მისი იმდროინდელი ახალგაზრდა მასპინძელიცა და ახლანდელი თანამოსაუბრეც ამ სტრიქონების ავტორი იყო.**

**კონგრესის მუშაობა დაძაბულად მიმდინარეობდა. მრავალი სხვადასხვა საინტერესო მოხსენება სხვადასხვა სექციაში ერთდროულად იყო დანიშნული. ამიტომაც ჩვენ ყველანი განაწილებული ვიყავით, თუ ვის რა უნდა მოგვესმინა და რომელი სექციის მუშაობაში მიგვეღო მონაწილეობა. ათი დღის განმავლობაში თასამდე მოხსენება იქნა წაკითხული. საბჭოთა მკვლევარების მოხსენებებს დიდი ინტერესით ისმენენენ და აქტიურად ეხმაურებოდნენ. პრესა ჩვენს საქმიანობას კონგრესზე ძირითადად სწორად ასახავდა. მხოლოდ ერთ გაუგებრობას ჰქონდა ადგილი: მორნეალის ერთ-ერთმა გაზეთმა გამოაქვეყნა ფიზიოლოგიის სექციის მდივნის, კანადელი პროფესორის კროტკოვის ინტერვიუ, რომ თითქოს საბჭოთა მეცნიერებს მხოლოდ პრაქტიკულ საქმიანობას სთხოვენ, ამიტომ ისინი კვლევას თავისუფლად ვერ ეწევიან და მათთან თეორია ნაკლებად ვიფარდებაო. როდესაც ჩვენი დელეგაციის წევრებმა პროფ. კროტკოვისაგან განმარტება მოითხოვეს, გამორკვა, რომ მას არავისთვის არავითარი ინტერვიუ არ მიუცია და რომ ასეთი „ინტერვიუ“ ადგილობრივი პრესისათვის არცთუ ისე იშვიათია.**

**კონგრესის საერთო შედეგებმა ნათელყო, რომ ამქამად ბოტანიკურ მეცნიერებათა ყველა დარგში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ექსპერიმენტს და რომ ყველა ქვეყანაში ფართოდ არის გამოყენებული კვლევის თანამედროვე მეთოდები: ქრომატოგრაფია, იზოტოპები, რადიოავტოგრაფია, ეინცელადი ფისები და სხვ. აღსანიშნავია, რომ მცენარეთა ბიოქიმია მონრეალში უფრო ფართოდ იყო წარმოდგენილი, ვიდრე ბიოქიმიკოსთა კონგრესზე ვენაში. კონგრესის მუშაობაში 700-ზე მეტი მეცნარეთა ფიზიოლოგი და ბიოქიმიკოსი მონაწილეობდა.**

**(დასასრული შემდეგ ნომერში).**

**ᲗᲕᲘᲗᲛᲤᲠᲘᲜᲐᲕᲘ „ტუ-104“ ლე ბურჟეს აეროდრომზე დაეშვა. მანძილი მოსკოვიდან პარიზამდე 3 საათსა და 32 წუთში დაეფარეთ. ეკვიანი ფრანგი თანამგზავრები საფრანგეთის ავიაციის მესვეურთა „წინდახედულებას“ მიაწერდნენ, „ტუ-104“ პარიზის ცენტრალურ აეროდრომ ორლის რომ ვერ ესტუმრა. ასეც რომ ყოფილიყო, ჩვენ დასანანი მაინც არაფერი გვქონდა: ჩვენი თვითმფრინავი ისეთი შუბი იყო, რომელსაც ხალთაში ვერავინ დამალავდა.**

**პარიზი შემოდგომის შესანიშნავი მზიანი დღით შეგვეგება. ქალაქის უბნებსა და მიდამოებს მოვედეთ და ყველაფერს ოგზაურის სახარბით ვთვალიერებდით: ელისეს მინდვრები, ბულონის ტყე, ეიფელის კოშკი, ღვთისმშობლის ტაძარი, ხურბონების სასახლე, მონმარტის უბანი, თანმხმობის მოედანი, ვერსალი და ვინ მოთვლის, კიდევ რა არ მოვინახულეთ შეუსვენებლივ. ამ ქალაქის ერთ დღეში დათვალიერება იქნებ ტურისტული „დანაშაულიც“ იყოს, მაგრამ ჩვენ ხომ პარიზში გზად გვიხდებოდა გავლა: ოცი საბჭოთა მკვლევარი ბოტანიკოსთა IX საერთაშორისო კონგრესზე კანადაში მივეგზავრებოდით.**

**ამავე დღეს, ღამით, ყველანი ერ ფრანსის ოთხმბრინავი თვითმფრინავით საფრანგეთიდან კანადისაკენ მივეშურებოდით.**

**თვითმფრინავი ძლიერი გუგუნით სწრაფად მიაპობდა სივრცეს. ქვემოთ წყვდიადით მოცული ატლანტის ოკეანე გადაშლილიყო.**

**ფურცლებში გართული ეკიპაჟის ერთ-ერთმა წევრმა თხოვნით მოგვმართა, რომ გულდასმით შეგვესწავლა, როგორ უნდა მოვქცეულიყავით, თუ თვითმფრინავს „ოროვანთ“ ვიანეზე დაჯდომა მოუხდებოდა. ინსტრუქცია ბევრს არაფერს მოითხოვსო, გვიხსნიდა იგი. უნდა ჩაიცვათ საშველი ჟილეტი, დინჯად დატოვოთ თვითმფრინავი და წყალში მშვიდად გადაეშვათო. ჟილეტის მარცხენა ჯიბეში ფხვნილია, მას იმ შემთხვევაში გადაყრით წყალში, თუ ახლოს ზვიგენი გამოჩნდებაო. ამ ნივთიერების სუნი ზვიგენთა მოდგმას თურმე საშინლად არ ჰყვარებია! ინსტრუქცია უეჭველად მეცნიერულად იყო დამუშავებული, ოღონდ არავინ იცოდა, თუ ასეთ შემთხვევაში ჩვენი დროსტარება ოკეანეში რამდენ ხანს გაგრძელებდაა ან რით გათავდებოდა.**

**ინსტრუქციის დამთავრებისთანავე ეკიპაჟის კაპიტანმა თუმცა გემრიელი ვახშმობა გვისურვა, მაგრამ ამან ოდნავაც ვერ დაჩრდილა ინსტრუქციით მონიშებული „სიამოვნება“ და არცთუ ისე გემრიელ ულუფას ყველანი ხმაგაკმეხდილნი უმალისოდ შევექეცოდით.**

**19 აგვისტოს დილით, 13 საათის გადაეწყვეტელი ფრენის შემდეგ, ქალაქ მონრეალში ვიყავით. ქალაქის ცენტრში ერთ-ერთ სასტუმროში დავბინავდით. იმავე დღეს სტადიონზე საზეიმო ვითარებაში გაიხსნა ბოტანიკოსთა IX საერთაშორისო კონგრესი.**

**მონრეალის მერს სტადიონი კონგრესის მონაწილე ქვეყნების ალმებით მოერთო, მაგრამ ჩვენი ქვეყნის ალმი კი „დავიწყებოდა“ (შემდეგში ჩვენ დავრწმუნდით, რომ კანადის სხვა ქალაქთა მერები ასეთი გულმავიწყი არ არიან).**

**კონგრესის გახსნისას ჯერ კანადის გენერალ-გუბერნატორის მომართვა წაგვიკითხეს, შემდეგ სხვადასხვა ოფიციალური პირები მოგვესალმნენ. ბოლოს, პრეზიდენტმა ტომპსონმა გაიკეთა მოხსენება კანადაში ბოტანიკურ მეცნიერებათა განვითარების შესახებ; მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ კანადელი ბოტანიკოსები პირველ რიგში პრაქტიკულ საკითხებზე მუშაობენ და რომ, კერძოდ, სოკოვან დაავადებათა წინააღმდეგ გამძლე ხორბლის ჯიშები მათ უკვე გამოიყვანეს. იგი შეეხო აგრეთვე თეორიულ პრობლემებს და განავითარა თეზისი, რომ დიდი მეცნიერების შესაქმნელად პრაქტიკული საკითხების შესწავლასთან ერთად აუცილებელია ღრმა თეორიული კვლევა. სხდომის დასასრულს კონგრესის მონაწილეებმა**

**ᲨᲐᲚᲕᲐ ᲠᲐᲓᲘᲐᲜᲘ, „აკაკი წერეთელი და ქართული თეატრის პრობლემები“. გამომცემლობა „ხელოვნება“.**

**ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲐ ᲓᲐ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐ**

# ᲙᲐᲜᲐᲓᲣᲠᲘ ᲔᲙᲘᲣᲠᲘᲡᲗᲕᲘᲡ

**Ლ. ᲓᲣᲠᲛᲘᲨᲘᲫᲔ,**
**საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი.**

**ᲐᲕᲘᲠᲩᲘᲔᲗ სხვადასხვა საქმიანი კომიტეტები.**

**კონგრესის მუშაობაში 62 ქვეყნის 4.000-მდე მეცნიერი შონაწილეობდა. ყოველი ქვეყნის დელეგაციას სათავეში ედგა მსოფლიოში ცნობილი მეცნიერი. საბჭოთა კავშირის დელეგაციას აკადემიკოსი ა. ჟურსანოვი მეთაურობდა.**

**კანადის პრესა კონგრესის გახსნის დღიდანვე საბჭოთა დელეგაციას ცხოველი ყურადღებით მოეკიდა. გაზეთებში ქვეყნდებოდა კორესპონდენტთა საუბრები ჩვენს მეცნიერებთან, ცნობები ჩვენზე, უცხოელ მეცნიერებთან ჩვენს ურთიერობაზე, თავსდებოდა კონგრესში ჩვენი მონაწილეობის ამსახველი ფოტოტიუდები და სხვ.**

**პრესამ განსაკუთრებით მაღალი შეფასება მისცა აკადემიკოს ა. ჟურსანოვის მოხსენებას, რომელიც მან კონგრესის გახსნის მეორე დღეს მორნეალის ფრანგულ უნივერსიტეტში ფრანგულ ენაზე გაკეთა მცენარეთა ფიზიოლოგიის ზოგიერთი პრობლემის შესახებ.**

**გაზეთებში კონგრესის მონაწილეთა პორტრეტებს ხშირად სხვა საინტერესო ფოტოტიუდებიც უმშვენებდა მხარს. გაზეთ „ლა პრესის“ ერთ-ერთ ნომერში ქალაქის მერისა და ქალაქის პოლიციის პრეფექტის სურათები იყო მოთავსებული. პირველი მეორეს ულოცავდა, რომ მან მორნეალის ბანდის მეთაური, ოროგორც იქნა, დაუპატიმრა და ქალაქის პატიოსანი მოსახლეობა განსაცდელისაგან იხსნა. ასეთი ცნობები კანადის პრესაში მომდევნო დღეებში არცთუ ისე იშვიათად ქვეყნდებოდა. ერთ-ერთი გაზეთი თუწყებოდა, რომ წმინდა ეკატერინეს ქუჩაზე დღისით-მზისით ვიღაც მოქალაქემ რამდენიმე მაღაზიის მოლარეებს 75-75 დოლარი მუქარით წაართვა და მიიმალა. კანადელ კოლეგებზე ამ ცნობამ თავისებური შთაბეჭდილება მოახდინა. მათ ამ ამბავში მხოლოდ ის აოცებდათ და იმაზე მსჯელობდნენ, თუ ბანდიტი თვითეულ მოლარეს რატომ ზუსტად 75 დოლარს ართმევდა.**

**კონგრესის მუშაობა ძირითადად ძველი, ინგლისური უნივერსიტეტის შენობებში მიმდინარეობდა. ამ უნივერსიტეტს მრავალი შენობა აქვს, მაგრამ მათი დიდი უმეტესობა მოძველებულია. უნივერსიტეტის ძირითად შემოსავალს შემოწირულობები შეადგენს. უნივერსიტეტის პრორექტორმა სახარულით გვამცნო, ერთ-ერთი გაზეთის დირექტორი მოკლე ხანში სასენირო ფასულტეტს ახალ შენობას აუშენებსო.**

**შენობათა შესანიშნავი ანსამბლი აქვს მონრეალის ფრანგულ უნივერსიტეტს, რომელიც კათოლიკური ეკლესიის გამგებლობაშია. შესასვლელშივე კედლების მორთულობა იმის მაუწყებელია რომ, აქ თურმე ერთდროულად უნდა აყვავდეს სარწმუნოება და მეცნიერებაო! კათოლიკური კასტის წარმომადგენელმა პატივმოყვარეობით გვამცნო, უნივერსიტეტს ეკლესია ინახავსო, თუმცა საუბარში ერთი „უმნიშვნელო“ დეტალიც გაირკვა: ყოველი ოცი სტუდენტის მიერ შემოტანილი სასწავლო გადასახადი ერთი პროფესორის წლიურ ხელფასს ანაზღაურებს.**

**ბოტანიკოსთა კონგრესი ყველაზე დიდი კონგრესი იყო, რომელიც კი ოდესმე კანადაში გამართულა: კონგრესის სექციების მუშაობა მრავალი სხვადასხვა დაწესებულების შენობებშიც მიმდინარეობდა. საერთო მოხსენებებისა და კოლოკვიუმის გარდა, 14 სექცია ერთდროულად მუშაობდა, მათ შორის: სისტემატიკის, მიკოლოგიის, ფიტოპათოლოგიის, მორფოლოგიისა და ანატომიის, მიკრობიოლოგიის, ტაქსონომიისა და გეოგრაფიის, პალეობოტანიკის, ეკოლოგიის, ციტოლოგიისა და გენეტიკის, ფიზიოლოგიისა და სხვ. ყველაზე ძლიერად წარმოდგენილი იყო ფიზიოლოგიის სექცია, რომელშიც ბიოქიმიკოსებიც მონაწილეობდნენ.**

**საბჭოთა მკვლევარები მეცნიერების მრავალ სხვადასხვა დარგს წარმოადგენდნენ და თითქმის ყველა ძირითად სექციაში მონაწილეობდნენ. კანადელი კოლეგები კონგრესში ჩვენს მონაწილეობას თავიდანვე დიდი ყურადღებით მოპყრობოდნენ: ყველა სექციაში საბჭოთა მკვლევარების მოხსენებები პირველ რიგში იყო გათვალისწინებული. კონგრესის პროგრამაში ბოლოდ ერთი უხერხულობა ჩანდა: წინაღმდეგ საერთაშორისო ტრადიციისა, რომლის მიხედვითაც სექციების თავმჯდომარეებად ყველა ქვეყნის წარმომადგენელი უნდა ყოფილიყვნენ, თავმჯდომარის პოსტები, აგრეთვე სხვა ხელმძღვანელი ადგილები ძირითადად ამერიკელებს ეკავათ. თუმცა, როგორც კანადის კვლევარნი ამბობენ, ამგვარ თავისი გამართლება ჰქონდა: კანადაში კაპიტალის მნიშვნელოვანი რაოდენობა ნომ ამერიკისაა და კაპიტალსაც შესაფერი მასპინძლობა ესაჭიროება!**

**უფრო თავაზიანად კანადელი ვაჭრები შეგვხვდნენ. მრავალ მაღაზიას ამშვენებდა ფერადი წარწერები, რომ მოუთმენლად ელიან კონგრესის მონაწილეებს და მათთვის ათასგვარი საქონელი აქვთ გამზადებული. ერთ-ერთი საკონდიტრო წარმოების მფლობელმა ახალგაზრდა ქალმა კონგრესის სახელობის ტაბილეულიც კი გამოუშვა მაღაზიებში.**

**კონგრესზე დაძაბულ მუშაობას საინტერესო ექსკურსიებიც მოსდევდა. ექსკურსიების გრაფიკი მზოლოდ ორ-სამჯერ თუ დაირღვა და ისიც კონგრესის ხელმძღვანელობისაგან დამოუკიდებელი მიზეზებით.**

**ყველას აინტერესებდა მონრეალის სიმაღლის — ქაღალდის წარმოების დათვალიერება. გავემგზავრეთ კიდეც, მაგრამ ქარხნის დირექციამ ბოდიში მოიხადა და უარით გამოგვისტუმრა: ქარხანაში გაფიცვა იყო, მუშები ხელფასის მომატებას მოითხოვდნენ. მონრეალი საკონდიტრო წარმოებითაც განთქმულია, მაგრამ ბედმუშები ამ წარმოების ნახვა გვარგუნა: მუშები აქაც გაფიცულიყვნენ და საარსებო მინიმუმით უბრუნველყოფას მოითხოვდნენ.**

**საგულისხმოა, რომ ამ გაფიცვების შესახებ, რომლებშიც ათეულ ათასობით მუშა მონაწილეობდა, კანადის პრესა დუმილს ამჯობინებდა. დამახასიათებელია პოზიცია მონრეალის ცნობილი ფრანგული გაზეთისა, სადაც კანადის კრიზისს ფართო სტატია ჰქონდა მიძღვნილი. გაზეთი ატყობინებოდა, კანადაში საქონლის ჭარბი წარმოებაა, მისი გასასაღებელი ბაზარი კი არსად ჩანსო. გაზეთი ეძებდა გამოსავალს, თუ ვისთვის შეიძლებოდა მიეყიდა კანადას ხორბალი, ხორცი, კვერცხის ფხვნილი, ხოლო მუშათა გაფიცვებზე კრინტიც არ იყო დაძრული. მხოლოდ მონრეალის რადიო დაგვიანებით იუწყებოდა: რამდენიმე დღეა, რაც ქაღალდის და საკონდიტრო წარმოების მუშები გაიფიცენენ და ხელფასის მომატებას მოითხოვენო.**

**კონგრესის მონაწილენი ერთმანეთს ხშირად ხვდებოდნენ. სხვადასხვა ქვეყნის მეცნიერებს საქმიანი და მეგობრული ურთიერთობა ჰქონდათ ერთმანეთთან. კონგრესზე მრავლად იყვნენ საბჭოთა კავშირის მეგობარი უცხოელი მეცნიერები: ფრანგები, გერმანელები, კანადელები, ინგლისელები, ამერიკელები, იაპონელები, ინდოელები, ავსტრიელები და სხვები. ბევრი დელეგატი თუ აქამდე ერთმანეთის მხოლოდ ლიტერატურის მეშვეობით იცნობდა, ახლა მათ პირად ნაცნობობასაც ეყრებოდა საფუძველი.**

**კონგრესის რომელიღაც მონაწილე ერთ-ერთ უცხოელ ბიოქიმიკოსს ეძებდა. მისმა თანამეძამავლემ მოკრძალებით ჩვენ მოგვმართა: იგი იქ არ მიდის, სადაც თქვენ, საბჭოთა მეცნიერები, მონაწილეობთო. ჩვენ ამაზე ღიმილით ვუპასუხეთ. ეწუხვართ, მაგრამ რა გაეწყობა, იმ პატივცემულ მეცნიერს, როგორც ჩანს, საჟაოს არც ერთ საერთაშორისო კონგრესზე დასწრება აღარ მოუწევსო.**

**კონგრესის მთავარი შენობის წინ ეზოში დასასვენებლად მოწყობილ პატარა მაგიდაზე უცხოელებს ზოგჯერ ფეხები ჰქონდათ ხალვე შეწყობილი და ისე საუბრობდნენ. ერთხელ, როდესაც ერთ-ერთი ასეთი ჯგუფის სერათს ვიღებდი, რომ ჩემი თანამემამულეებისათვის მეჩვენებინა დასვენების ეს ორიგინალური წესი, მომიახლოვდა მაღალი, გამხდარი, მოხუცი ქალი და სიცილით რუსულად მითხრა, თქვენ ფოტოგადაღებისათვის მარტლაც კარგი ობიექტი ამოგირჩეიათო. იგი ამერიკის ქვეშეკრდომი რუსი აღმოჩნდა. მან ნაღელვნილად მოიგონა, რომ ამ ოცდათხუთმეტი წლის წინათ აკადემიკოს სუკაჩოვის ასისტენტი იყო. გაგვეცინა როგორც მარიალებისების გვარის შთამომავალი და მოკრძალებით დაუმატა, ასეთი გვარის პოეტიც იყო რუსეთში, თუმცა თქვენი თაობის ხალხმა შეიძლება ეს არც იცოდესო. მის გაკვირვებას საზღვარი არ ჰქონდა, როდესაც ჩემმა მეგობარმა მოსკოველმა პროფესორმა ვაცლავ კრეტოვიჩმა პოეტ ბარიატინსკის ერთ-ერთი ლექსი ზეპირად წაიკითხა. ჩვენს თანამოსაუბრეს სახე საოცრად შეეცვალა და თითქოს ბოდიშის მოხდით გვიყვებოდა, რომ მან აქ, ამერიკაში, ორი ეგეი გაზარდა, მაგრამ ორივენი გასულ წელს იყვნენ საბჭოთა კავშირში და რომ პირველი ჭეშმარიტ ადამიანთანაც კვლავ წავიენ. ჭეშმარიტმა ადამიანმა სამშობლო როგორ უნდა დაიგიწყოსო, ამბობდა.**

**მართლაც საოცარია, მაგრამ ხომ ფაქტია, რომ რამდენიმე წლის წინათ, როდესაც მოსკოვში სიცოცხლის წარმოშობაზე მსოფლიო სიმპოზიუმი შედგა, უცხოეთში ემიგრირებულ ერთ რუს პროფესორს მოსკოვის სანახაგად... ბრმა დედა ჩამოჰყვა.**

**ქალაქის ერთ-ერთმა ცნობილმა პირმა დარბაზობა გაგვიმართა. ნახევრადჩაბნელებულ უზარმაზარ დარბაზში ხალხი ერთმანეთში ირეოდა. სხვადასხვა ენაზე ერთდროული საუბარი რაღაც ყრუ და გაურკვეველ გუგუნს ქმნიდა. დარბაზში, როგორც წესია, არავინ იჯდა და დამსწრეთა მუდმივი ბორიალი ამ სანახაობას კიდევ უფრო მეტ თავისებურებას აძლევდა. სტუმრებისათვის დარბაზის ერთ მხარეს უფასოდ რიგდებოდა ხილის ციკი წვენი და ხილი, მეორე მხარეს კი მაგარი სასმელები და საუზმე იყიდებოდა. ეშმარიტად ორიგინალური მასპინძლობა იყო. ჩვენი დელეგაციის წევრები მეხუმრებოდნენ, მასპინძლობის ამ წესს საქართველოში დანერგავ გაპირდებოდაო.**

**ჩვენ ყველგან „ამერიკენ ექსპრესის“ ორგანიზაცია გვემსახურებოდა. ერ

# საჭადრაკო ციებცხელების წინ

**ალო ფლორი,**
**გროსმაისტერი**

თუ მოჭადრაკეთათვის ხადაც არის დადგება დიდი ხნის ნანატრი მომენტი, როცა ორი მეხელილი პირველად მიუჯდება საჭადრაკო მაგიდას, ეს სრულებითაც არ ნიშნავს, რომ ჭადრაკის სამყაროში დღემდე არ განიხილავდნენ XXVII ჩემპიონატის შედეგებს. ეს მეტად დიდმნიშვნელოვანი მოვლენა იყო და მისი ასე მალე დავიწყება შეუძლებელია. ჩვენი საჭადრაკო ჩემპიონატი იგივეა, რაც ჩოგბურთელთათვის უიმბლდონი — მსოფლიოს არაოფიციალური პირველობა.

ვინ იცის რამდენჯერ აწკრიალდა ტელეფონის ზარი, როცა ჩემპიონატი დამთავრდა. ტელეფონთან არის ამსტერდამი! ეს მსოფლიოს ექს-ჩემპიონს გროსმაისტერ ეივეს აინტერესებს ტურნირის შედეგი. სტოკჰოლმი — ლაპარაკობს შტალბერგი! პრაღა — ტელეფონთან არის გროსმაისტერი პაზმანი! ყველა ამ ჩვენს მეგობარს ვატყობინებს: გაიმარჯვა ვიქტორ კორჩნოიმ. და ყველანი ერთნაირად ეხმაურებიან ამ ამბავს: „ოჰო! ეს ხენსაციაა!". ვცდილობ „დავამშვიდო" ისინი, ვეუბნები, რომ ეს სენსაცია კი არ არის, არამედ საკვირველი დამსახურებული გამარჯვებაა ჩვენი ახალი ჩემპიონისა, რომელიც თამაშობდა გაბედულად, ინიციატივიანად, ტალისებურად! ეივე მიპასუხებს: „ჰა, ტალისებურად თუ თამაშობდა, მაშინ ყველაფერი ნათელი და გასაგებია!". მაინცდამაინც გაკვირვებას არ იწვევს, როცა ვაცნობებ, რომ მეორე და მეხამეა ადგილი პეტროსიანმა და გელერმა გაიყვეს. მაგრამ ვ. ბაგიროვის მეოთხე ადგილი კი აოცებს ამ გროსმაისტერებს. „ვინ ბაგიროვია? მის შესახებ არა გაგვიგონია რა". — „აუცილებლად კიდევ გაიგონებთ".

ახალი „ოჰო" გაისმის, როცა ჩემს თანამოსაუბრეებს ვეუბნები, რომ მეშვიდე-მერვე ადგილზე ტაიმანოვი და სმისლოვი გამოვიდნენ. „რა დაემართა სმისლოვს?" — „არაფერი, ცოცხალია, ჯანსაღად არის, მაგრამ მოლად იმ ფორმაში ვეღარ არის!". „მეთორმეტე-მეცამეტე ადგილზე ლუტიკოვი და ბრონშტეინი არიან". ეივე მეკითხება: „რაო, რაო? ვინ ბრონშტეინი? დავითი?!". „წარმოუდგენელია, ეს რა ხდება!" — კომენტარს უკეთებს ეივე ამ შედეგს.

ჩვენი ახალი ჩემპიონი ვიქტორ კორჩნოი, რომელმაც მკერდი დაიშვენა ჭადრაკის უძლიერესი სახელმწიფოს ჩემპიონის ოქროს მედლით, ბედნიერია და ლენინგრადის ნევის პროსპექტზე დასეირნობს. ეფიმ გელერი არ ფარავდა თავის განზრახვას, რომ უნდოდა ოქროს მედალი ჩაეტანა ხაჩუქრად თავის შვილ ალექსანდრესათვის, მაგრამ პატარა გელერი მხოლოდ სამი თვისაა და ჯერ ვერც მიხვდება, რომ მამიკომ ვერცხლის მედალი მიუტანა, რაც, უნდა ითქვას, სულაც არ არის ცუდი. ტიგრან პეტროსიანი უბალისოდ გამოეთხოვა ჩემპიონის წოდებას, მაგრამ ძალიან და ძალიან კმაყოფილი იყო, როცა მიუსლოცეს.. „ტურნირის დამთავრება!". იგი ახლა შინ, ოჯახურ წრეში ტკბება. წარმოიდგინეთ: 28 პარტია პრეტენდენტთა ტურნირში, 9 პარტია ბევერვიიკში, 19 ლენინგრადში — 56 პარტია თითქმის ზედიზედ სამ ტურნირში. საჭადრაკო დაღლილობას თავი უნდა ეჩინა. „ხელოვნებისადმი დიდი სიყვარულის" მიუხედავად!

გამარჯვებულთა ეს სამეული უეჭველად კმაყოფილია ჩემპიონატის შედეგით. ისინი ნაკრებ ოლიმპიურ გუნდში ხვდებიან. სერიოზულ საფრთხეშია მსოფლიოს ექს-ჩემპიონი ვ. სმისლოვი. ოლიმპიადაში ექვსი კაცი მონაწილეობს. ბოტვინიკმა და ტალმა უნდა ითამაშონ? უნდა ითამაშონ. კერესმა მონაწილეობა უნდა მიიღოს? უნდა მიიღოს. ამრიგად, ისეთი „სიცოცხლე" შეიქმნა, რომ სმისლოვისათვის ადგილი აღარ არის!

ალბათ ვ. ბაგიროვიც კმაყოფილი დასეირნობს ბაქოს განიერ ქუჩებში და კასპიის ზღვის ნაპირას ისვენებს დაძაბული ბრძოლის შემდეგ.

გუნებაწამხდარმა დატოვა ლენინგრადი „ნახევრადგროსმაისტერმა" ლევ პოლუგაევსკიმ. ნახევარი ქულა ხომ ვერ განსაზღვრავს, ოსტატია კაცი თუ გროსმაისტერიო, ფიქრობდა პოლუგაევსკი. იგი „არ დანებდა" და გაგრძელებდა ბრძოლას „მწვანე მაგიდასთან". რსფსრ საჭადრაკო ფედერაციის განცხადების პასუხად სსრ კავშირის საჭადრაკო ფედერაციის პრეზიდიუმმა ხმა მისცა იმას, რომ ლ. პოლუგაევსკის გროსმაისტერის წოდება მიენიჭოს. ამრიგად, საჭიროა კიდევ სასპორტო საზოგადოებათა კავშირის თავმჯდომარის ერთი ხელმოწერა, და ჩვენს გროსმაისტერთა ოჯახს შეიძლება მივულოცოთ მეოცე გროსმაისტერის შემატება!

საერთოდ ჩვენი ჩემპიონატი კარგი შედეგებით დამთავრდა. ლენინგრადი ზეიმობს, ოდესა კმაყოფილია, კუიბიშევი კმაყოფილია, მოსკოვი აღფაცებული ვერ არის! თბილისმი როგორღაა საქმე? ვფიქრობ, რომ არც ოუსთაველის პროსპექტზეა სიხარულის საბაბი. ბ. გურგენიძემ ამჯერად იმედები ვერ გაუმართლა თბილისელებს. რატომ? ბ-ვრს ლაპარაკობდნენ თამბაქოს წევასა თუ არწევაზე. თუ ეს ასეა, გურგენიძემ თამბაქოს წევას თავი უნდა დაანებოს, ოღონდ საქართველოს მოჭადრაკეებს გული არ ატკინოს. მაგრამ საქმე მარტო თამბაქოს წევა როდია. გურგენიძე სულიერად დაეცა რამდენიმე მარცხის შემდეგ. თავი დავანებოთ გურგენიძის მიმართ სამდურავს — იგი ისედაც ცუდ ხასიათზეა. ალბათ რუსთაველის პროსპექტზე გასვლისაც კი ეშინია! უეჭველია, გურგენიძე შეეცდება შემდეგში მთელი ტემპერამენტითა და სიმტკიცით აიღოს რევანში და აღიდგინოს რეპუტაცია როგორც მზარდმა ახალგაზრდა ოსტატმა.

გასაგებია, რომ ეიეესთან, შტალბერგთან და პახმანთან საუბრის დროს ლაპარაკი ჩამოვარდა „სადღეისო თემაზეც" — ბოტვინიკ-ტალის მატჩზე.

— როგორ ფიქრობს დოქტორი ეიეე? მსოფლიოს ექს-ჩემპიონმა გვიპასუხა, რომ იგი ძალიან კმაყოფილია, მოსკოვში რომ ჩამოდის, მაგრამ რაც შეეხება შედეგს, ღმერთმა უწყისო!" — უფრო ზუსტად! — ყველაფერი შეიძლება მოხდეს, — კვლავ არაპირდაპირ პასუხს იძლევა ეიეე.

ჩვენი გროსმაისტერებიც ფრთხილად იძლევიან პასუხს საჩოთირო კითხვაზე: ვინ ვის? ზოგნი გვიპასუხებენ, მაშა გაიმარჯვებსო (ეს ორიგინალური ვეღარ არის!). ყაიმი არ იქნებაო, ამბობენ სხვები. კორჩნოი პირდაპირ ასახელებს, თუ ვინ გაიმარჯვებს: „ტალი!". — ვნახოთ როგორ წარიმართება თამაში სტარტზეო, იძლევიან პასუხს უფრო ფრთხილი ადამიანები.

ტალს მხარს უჭერენ ჭადრაკის ათასობით მოყვარულნი, „თეული რიგა". ბოტვინიკის „გულშემატკივარია" უფროსი თაობა, მეცნიერთა სამყარო. მოჭადრაკენი ორ ბანაკად გაიყვნენ. მატჩის მონაწილეებს ბევრი წერილი მოსდით საზღვარგარეთიდან. მ. ბოტვინიკმა ამ დღეებში გამამხნევებელი წერილი მიიღო ფიშერის ოჯახისაგან ნიუ-იორკიდან. ამერიკის შეერთებული შტატების ჩემპიონი ფიქრობს, რომ ბოტვინიკი იოლად მოიგებს! მაგრამ ბარბი ფიშერ[illegible] ტალის [illegible] ჯერი ხჭირს[illegible] ტურნირზე ფიშერს მო[illegible] [illegible] ოს ვფიქრობ პირადა[illegible] მე? წინ არის უალრ[illegible] სად საინტერესო მატჩ[illegible] ორი ბუმბერაზის მატჩი, ათეული წლის მატჩი! შედეგი? დრო არ არ[illegible] პროგნოზები ვაკეთო. ციებცხელებ[illegible] მოსკოვში უკვე დაიწყო. გუშინ ბ[illegible] ლეთების წინასწარ გაყიდვას შეუდგ[illegible] ნენ, და ორი საათის შემდეგ ყველ[illegible] ბილეთი გაყიდული იყო. ამიტომ ვაკ[illegible] რბივარ, რომ ბილეთი ვიშოვნო, თო[illegible] რემ მკითხველი ვეღარ მიიღებს ჩემ[illegible] ანგარიშს პირველი პარტიის შესახებ[illegible] პროგნოზებზე მერე იყოს! გისურვებ[illegible] წარმატებით „გულშემატკივრობას"!

საერთაშორისო
ოსტატი ხ
ვ. გოგლიძის
რედაქციით

თბილისის 196[illegible] წლის პირველობა[illegible] გამარჯვება და ჩ[illegible] პიონის წოდება მ[illegible] იპოვა ახალგაზ[illegible] და ნიჭიერმა ჭ[illegible] ჭადრაკემ, სტალ[illegible] ნის სახელობის [illegible] ხელმწიფო უნივერ[illegible] სიტეტის სტუდენტმა თამაზ კიკიანმ[illegible] მთელი შეჯიბრება მან დაუმარცხებლ[illegible] დიდი სიმტკიცით ჩაატარა და დამაჯ[illegible] რებელი გამარჯვება მოიპოვა. ამას წინ[illegible] თ. კიკიანმა ასევე წარმატებას მიაღწ[illegible] პირველი და მეორე ადგილი გაიყო საბ[illegible] გადოება „ბურევესტნიკის" პირველობ[illegible] ნახევარფინალში, რომელიც სარატოვ[illegible] მოეწყო. ფინალში, რომელიც მიმდინარ[illegible] წლის აგვისტოში ოდესაში გაიმართებ[illegible] ნახევარფინალებში გამარჯვებულთა [illegible] რდა მონაწილეობას მიიღებენ გროსმაის[illegible] ტერები და ოსტატები.

ქვემოთ მოგვყავს პარტია თბილის[illegible] პირველობის მე-16 ტურიდან. ეს პარტ[illegible] გათამაშდა პირველი ადგილის პრეტ[illegible] დენტებს შორის.

**სიცილიური დაცვა**

**დ. ჯანოევი (თეთრები) — თ. კიკიანი (შავები)**

1. e4 e5 2. d4 c5 3. ∂f3 cd 4. ∂:d4 ∂f6 5. ∂c3 d6 6. ⚘g5 a6 7. ⚘f4 ∂c6 8. ⚘d2 ⚘d7 9. 0—0—0 b5 10. ⚘:f6 ⚘:f6 11. f5 ⚘b6 12. ∂b3 ∂e5 (სიცილიური დაცვის ცნობილი ვარიანტია. შავების მხედრმა ძლიერი უჯრედი დაიკავა ცენტრში, მეფის ფლანგზე პაიკების ერთგვარ შესუსტების სანაცვლოდ) 13. ⚘:d4 (დაცვას უადვილებს შავებს. უკეთესი იყო 13. ⚘e2, რითაც თავიანთ ფიგურებს განავითარებდნენ) 13... ⚘:d4 14. ∂:d4 ⚘g5 15. h3 h5 16. ∂a5 ⚘b8 17. a3 h4 18. ⚘b1 ⚘g3 19. ∂a2 ⚘e7 20. ∂b4 ⚘b6 21. ⚘d1 ⚘h6 (შავებმა ააგეს მტკიცე თავდაცვითი პოზიცია ცენტრში და შეჩერნენ კოხტრთამაში „g" ღია ხაზზე) 22. ∂d5

**თ. კიკიანი**



**დ. ჯანოევი**

შეცდომაა, რომლის შემდეგ თეთრების პოზიცია წასაგები ხდება. უნდა ეთამაშნათ 22. ∂b3, რათა თამაშში შეეყვანათ მხედარი, რომელიც არსებითად თამაშგარეშეა. 22... ∂:d3 23. ⚘:d3 ef 24. ⚘:g3 hg 25. ef ⚘:f5 26. ⚘d3 ⚘:d3 27. cd f5 (დაძაბულობა შენელდა, მაგრამ მხოლოდ შავების სასარგებლოდ. მათ აქვთ ხედმეტი პაიკი და ფიგურების უკეთესი განლაგება) 28. ∂b3 ⚘e3 29. ⚘e1 f4 30. ∂d4 ⚘f6 31. ∂f3 d5 32. ⚘e2 ⚘e6 33. ∂fe2 ⚘c6+ 34. ∂g3 ⚘c1 35. ⚘e1 ⚘c6 36. ⚘e2 a5 37. a4 ba+ 38. ∂g:a4 ⚘c1 39. ∂gb3 ⚘/1 40. ∂gc2 ⚘:f3! 41. gf და თეთრები დანებდნენ ვინაიდან 41... ⚘f2-ს შემდეგ პაიკი ლაბიერად გადის. მთელი პარტია თ. კიკიანმა ფრიად დამაჯერებლად ჩაატარა.

რედაქტორი
დ. მჟედლიშვილი.

# სიხარული და იმედი

**ფრანგი ხალხი ნ. ს. ხრუშჩოვის მომავალი ვიზიტის მოლოდინში**

პარიზი, 10 მარტი. (საკდესი). გაზეთმა „ლუმანიტემ" დღეს გამოაქვეყნა „საფრანგეთ-სსრ კავშირის" ასოციაციის გენერალური მდივნის ჟან კანბალუს სტატია, რომელშიც იგი მიესალმება საბჭოთა მთავრობის მეთაურის ნ. ს. ხრუშჩოვის მომავალ ვიზიტს საფრანგეთში და ხაზს უსვამს მის დიდ მნიშვნელობას საფრანგეთ-საბჭოთა კავშირის ურთიერთობის გაუმჯობესებისათვის.

„პარიზი და პროვინცია, — წერს ავტორი, — ხრუშჩოვის სახით შეხვდებიან დიდი ხალხის ხელმძღვანელს, საფრანგეთის მეგობარს, რომელსაც სურს, რომ ჩვენმა ქვეყანამ შეინარჩუნოს დიდი ერის წოდება.

ყველა ხალად მოაზროვნე ფრანგს ნ. ს. ხრუშჩოვის მოგზაურობა მიაჩნია განსაკუთრებულ შესაძლებლობად ცოდნისა და გაცვლის გაფართოებისათვის ყველა დარგში, რასაც მთავარი მნიშვნელობა აქვს საფრანგეთ-საბჭოთა კავშირის ურთიერთობისა და მშვიდობის საქმისათვის".

„დიე ყველგან საფრანგეთში, წერს დასასრულ ჟან კანბალუ, ეს მარტი იყოს ნიშანი ახალი გაზაფხულისა საფრანგეთ-საბჭოთა კავშირის ურთიერთობაში. მოგელოთ თქვენ, ნიკიტა ხრუშჩოვ!".

გაზეთი აქვეყნებს აგრეთვე პასუხს კითხვებზე, რომლებითაც მან მიმართა საფრანგეთის მწერლებს, მხატვრებსა და მეცნიერებს საბჭოთა მთავრობის მეთაურის ნ. ს. ხრუშჩოვის მომავალ ვიზიტთან დაკავშირებით.

„თუ გენერალ დე გოლის მოლაპარაკება ბ-ნ ხრუშჩოვთან, — თქვა საფრანგეთის მეცნიერებათა აკადემიის წევრმა მ. მორუამ, — დაეხმარება მშვიდობის შენარჩუნებას ჩვენი მეგობრობის ფარგლებში, ძლიერ ბედნიერი ვიქნებით".

პროფესორმა უაკ ადამარმა — საფრანგეთისა და საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიების წევრმა თქვა: „მე მიმაჩნია, რომ ბ-ნ ხრუშჩოვის მოღვაწეობის ეტაპები, ყველა მისი მოგზაურობა ევროპისა და სხვა ქვეყნებში მოასწავებენ აშკარა პროგრესს საერთაშორისო აზროვნებაში და დიდნიშვნელოვან წინსვლას მშვიდობის გზით. განა შემიძლია დავეჭვდე, რომ კარგს უნდა მოველოდეთ ჩვენს ქვეყანაში ამ გამოჩენილი სახელმწიფო მოღვაწის ჩამოსვლისაგან".

„საფრანგეთში ბ-ნ ნიკიტა ხრუშჩოვის ჩამოსვლამ, — თქვა რეფისორმა ა. ბარსაკმა, — ჩვენში შეიძლება მხოლოდ სიხარულის გრძნობა გამოიწვიოს".

„ხრუშჩოვის მოგზაურობა უდიდეს იმედს იწვევს, — განაცხადა მოქანდაკე მ. ეიმონმა. — ხალხი ენთუზიაზმით მესალმება მას, რათა უჩვენოს თავისი მადლობა როგორც ადამიანს, რომელმაც პირველად შექმნა მსოფლიოში საყოველთაო მშვიდობის უზრუნველყოფის შესაძლებლობა. ჩვენ განვიცდით ერთ-ერთ დიდ მომენტს ისტორიაში".

პარიზი, 10 მარტი. (საკდესი). საფრანგეთში 100 ათასი ცალი ტირაჟით გამოვიდა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ნ. ს. ხრუშჩოვის ბიოგრაფია. წიგნი გაფორმებულია ლამაზად. იგი შეიცავს 45 ფოტოსურათს, რომლებიც პირველად ქვეყნდება საფრანგეთში.

უკანასკნელ დროს საფრანგეთში ცოტა სხვადასხვა წიგნი რიდი გამოიცა, რომლებიც ეძღვნება საბჭოთა კავშირსა და საბჭოთა მთავრობის მეთაურს, რაც აიხსნება იმით, რომ მკვეთრად გაძლიერდა ინტერესი საბჭოთა კავშირისადმი ნ. ს. ხრუშჩოვის ვიზიტის წინ.

გაზეთი „მონდი" დღეს წერს: „თუ ვიმსჯელებთ ამას წინათ გამოქვეყნებულ ნაშრომთა რაოდენობის მიხედვით, ბ-ნმა ხრუშჩოვმა და საბჭოთა კავშირმა პირველი ადგილი უნდა დიაკავონ წიგნის მაღაზიების ვიტრინებში".




# ტელეგრამა გვატყობინებს

⊙ ქარბუქი ამერიკაში. ⊙ ათასობით ბრაზილიელი უსახლკაროდ. ⊙ „ატლასი" კვლავ აფეთქდა. ⊙ ავტომობილების კატასტროფის შედეგად. ⊙ ტვიტოგურგის ტყეში.

ნიუ-იორკი, 11 მარტი. (საკდესი). ამერიკის შუა დასავლეთში და ატლანტიკის სანაპიროს შტატებში კვლავ მძვინვარებს უძლიერესი ქარბუქი. ზოგიერთ რაიონში თოვლის სიღრმე უკვე მეტრს აღემატება.

როგორც ასოშიეიტედ პრესის საგენტო იუწყება, ათობით ქალაქი იზოლირებული ერთმანეთისაგან, ბევრი დასახლებული პუნქტი მთებში სრულიად მოწყვეტილია, მგზავრები გზაში ჩარჩნენ, სკოლები, მაღაზიები და ქარხნები დახურულია.

ამ ახალი შტორმის შედეგად დაღუპულთა რიცხვმა უკვე 32 კაცს მიაღწია.

კენტუკის შტატის გუბერნატორმა ბერტ კოუმბსმა გამოაცხადა, რომ შტატში შემოღებულია საგანგებო წესები „შტატის მთელი ისტორიის მანძილზე უძლიერეს ქარბუქთან დაკავშირებით".

ნიუ-იორკი, 10 მარტი. (საკდესი). თითქმის მთელი კვირაა, რაც ბრაზილიის აღმოსავლეთ შტატებში ძლიერი წვიმაა. ბრაზილიის გაზეთები იუწყებიან, რომ წყალდიდობის შედეგად დაიღუპა სულ ცოტა 20 კაცი, ბევრი უკვალოდ დაიკარგა, ათასობით ადამიანი უსახლკაროდ დარჩა. მარტო ბაიის შტატში უსახლკაროდ დარჩა 15 ათასი კაცი.

ნიუ-იორკი, 11 მარტი. (საკდესი). ასოშიეიტედ პრესის საგენტოს კორესპონდენტი კანაველალის კონცხიდან გადმოგვცემს, რომ გუშინ იქ გაშვების დროს აფეთქდა ბალისტიკური რაკეტა „ატლასი". რაკეტა ჰაერში ავიდა მხოლოდ რამდენიმე ფუტზე, რის შემდეგ მოხდა უდიდესი ძალის აფეთქება, რომლის ალმა გაანათა მიდამოები რამდენიმე მილზე. აფეთქების შედეგად, ნათქვამია ცნობაში, წარმოიშვა უზარმაზარი სოკოსებრი ღრუბელი, რომელიც ფორმით მოგვაგონებდა ატომგულის იარაღის აფეთქებით შექმნილ ღრუბელს.

ნიუ-იორკი, 10 მარტი. (საკდესი). უკანასკნელ 10 წელიწადში ავტომობილებით გამოწვეული კატასტროფით ამერიკაში დაიღუპა დაახლოებით მილიონი ამერიკელი, ხოლო 95 მილიონზე მეტი კაცი დაჯრა. ეს ცნობები მოიყვანა ამერიკის მოძრაობის უშიშროების საბჭოს ხელმძღვანელმა ჰოკარდ პაილმა მოძრაობის უშიშროების საკითხებზე სამხრეთი შტატების კონფერენციაზე, რომელიც გაიმართა ჯექსონვილში (ფლორიდის შტატი). ამ კატასტროფებით გამოწვეული ზარალი შეფასებულია 100 და მეტ მილიარდ დოლარად, განაცხადა პაილმა.

ბონი, 10 მარტი. (საკდესი). როგორც დპა-ს საგენტო იუწყება, ტვიტობურგის ტყეში ბილეფელდის ჩრდილო-დასავლეთით დაიწყო მზადება „ნიკას" ტიპის რაკეტების გასაშვები ბაზის ასაგებად. ამ მიზნით დღეს იქ ჩავიდა სპეციალური ჯგუფი, რომელიც შედგება ამერიკელ მესანგრეთა და ბუნდესვერის ჯარისკაცთაგან.

**საბჭოთა დელეგაცია განიარაღების კომიტეტში**

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ დანიშნა საბჭოთა დელეგაცია ათი სახელმწიფოს განიარაღების კომიტეტში შემდეგი შემადგენლობით: სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ვ. ა. ზორინი (დელეგაციის მეთაური), გენერალ-პოლკოვნიკი ა. ა. გრიზლოვი და დესპანი ა. ა. რომჩინი.

დელეგაციის მრჩევლად დამტკიცებული არიან: გენ. ს. ტ. ხოლოპაევი, ლ. ი. მენდელევიჩი, პ. ფ. ბახოვი, რ. მ. ტიმერბაევი, ი. დ. ნიკულინი.

დელეგაციის მუშაობაში მონაწილეობას მიიღებენ აგრეთვე მთელი რიგი ექსპერტები.

**ავანტიურისტი დაპატიმრებულია**

ჯაკარტა, 10 მარტი. (საკდესი). როგორც ანტარას საგენტო იუწყება, ინდონეზიის ინფორმაციის მინისტრმა მალდიმ გუშინ ინდონეზიის რადიოთი გააკეთა განცხადება: „9 მარტს, 12 საათსა და 20 წუთზე მოხდა შემთხვევა, რომელმაც გაუგებრობა გამოიწვია ხალხში. ეს იყო ინდონეზიის სამხედრო-საჰაერო ძალების თვითმფრინავის მიერ ჯაკარტაში მერდეკას სასახლისათვის სროლის ატეხა.

რამდენიმე ხნის შემდეგ მიღებული იყო ცნობა, რომ იგივე თვითმფრინავი თავს დაესხა ბოგორის სასახლეს. ხოლო უფრო გვიან — საზღვაო კეთილმფრინავი ქ. ლინტიჯენგს.

ინდონეზიის სამხედრო-საჰაერო ძალები აწარმოებენ საჰაერო წვრთნას, რომელშიც მონაწილეობს რამდენიმე რეაქტიული. თვითმფრინავი. ერთ-ერთი თვითმფრინავი არ დაბრუნებულა. როგორც ჩანს, ეს სწორედ ის თვითმფრინავი იყო, რომელმაც საჰაერო იერიშები მოაწყო. შემოწმებით დადგენილია, რომ მფრინავი იყო უმცროსი ლეიტენანტი, რომლის მამა რამდენიმე კვირის წინათ დაუპატიმრეს იარაღის, მათ შორის „სტენის" ავტომატისა და გრანატების უკანონო შენახვისათვის.

როგორც დღეს ინდონეზიის სამხედრო-საჰაერო ძალების ინფორმაციის სამსახურმა გამოაცხადა, მფრინავი, რომელმაც გუშინ სროლა აუტეხა მერდეკას სასახლეს ჯაკარტაში, დაპატიმრებულია და მალე წარსდგება სამხედრო ტრიბუნალის წინაშე.

**რასისტული კანონი მოქმედებს**

ნიუ-იორკი, 11 მარტი. (საკდესი). ფერადკანიანებს უფლება არა აქვს იცხოვრონ თეთრკანიანთა შორის. ამ რასისტული კანონის შესაბამისად სამხრეთ აფრიკის კავშირის ხელისუფლებამ გუშინ გასცეს ბრძანება ქალაქ რასტენბერგიდან (ტრანსვაალი) ქალაქის ფარგლებს გარეთ გაასახლონ მთელი ინდოელი მოსახლეობა.

ამ თვითნებობის წინააღმდეგ ინდოელი მოსახლეობის პროტესტის პასუხად ქალაქის მერის მოადგილემ ცინიკურად განაცხადა: „კანონი კანონია. ინდოელები ვერ დარჩებიან ქალაქში, რადგან მათ გარშემო ცხოვრობენ თეთრკანიანები".



**საბჭოთა ნაბიჯი ესპანეთში**

**ნახატი გ. ლომაძისა.**

# ფალავნეგი ხალიჩაზე

კლასიკურ ჰიდაობაში საკავშირო პირველობის გათამაშების სამმა დღემ შეუპოვარ ბრძოლაში გაიარა. გუშინ თბილისის ლენინის სახელობის სასპორტო დარბაზში შედგა მორიგი შეხვედრები. საკამოს ერთმანეთს პირველობას ეცილებოდნენ ქვემსუბუქი და ქვეძმიმე წონის მოჭიდაველები. ქვემსუბუქ წონაში მძაფრი ბრძოლით წარიმართა თბილისელ სეფაშვილისა და ბაქოელ ოსიპოვის შეხვედრა, რომელიც ქულებით სეფაშვილის გამარჯვებით დამთავრდა. კაცუბამ მოუგო ლეონოვს. ამ წონით კატეგორიაში 5 წრის შემდეგ ყველაზე უკეთესი შედეგი აქვს თბილისელ ღუდუშაურს (2 საჯარიმო ქულა). სპორტის დამსახურებულ ოსტატს სტაშევიჩს 3 ქულა აქვს, ვირუპაევსა და სეფაშვილს — ოთხ-ოთხი ქულა.

უმჩატეს წონაში წინ არიან საიადოვი და კოჩერგინი (სამ-სამი ქულა). ქვესაშუალო წონაში წარმატებით გამოდის საქართველოს წარმომადგენელი გვანცელაძე, რომელსაც მხოლოდ 2 საჯარიმო ქულა აქვს. აქ ლიდერობას ინარჩუნებს აგრეთვე ფეფელოვი. ქვემძიმე წონაში ყველაზე უკეთესი შედეგი აქვს მსოფლიო ჩემპიონს თბილისელ აბაშიძეს (2 საჯარიმო ქულა).

12 მარტი ჩემპიონატის უკანასკნელი დღეა. დასკვნითი შეხვედრები შედგება თბილისის სახელმწიფო ცირკში.



**დასკვნითი შეხვედრები ლენინგრადში**

ლენინგრადი. 11 მარტი. (ტელეფონით სპეც. კორ.). დღეს ლენინგრადში დაიწყო ჩვენი ქვეყნის 12 უძლიერესი კოლექტივის დასკვნითი ასპარეზობა კალათბურთში სსრ კავშირის პირველობაზე.

თამაში მიმდინარეობს ორ სხვადასხვა დარბაზში. თბილისის დინამოელები დღეს შეხვდნენ კაუნასის სკიფ-ს და გაიმარჯვეს ანგარიშით 77 : 62 (40 : 24). ლენინგრადის „სპარტაკმა" მოუგო კიევის სკიფ-ს — 73 : 71, რიგის სკვო-მ — სვერდლოვსკის „ურალმაშს" — 89 : 70, ლენინგრადის „ბურევესტნიკმა" — მოსკოვის „დინამოს" — 84 : 78.

**ტურნირი ბათუმში**

ბათუმი. 11 მარტი. (სპეც. კორ.). გუშინ აქ საზეიმოდ გაიხსნა საქართველოს 1960 წლის პირველობა ჭადრაკში ვაჟთა შორის. ჩემპიონატში გამოდის 20 მოჭადრაკე. ესენი არიან თბილისის პირველობასა და რესპუბლიკური ჩემპიონატის ნახევარფინალებში გამარჯვებულები, აგრეთვე ოსტატები ბ. გურგენიძე და ა. ბუსლაევი.

დღეს შედგა პირველი ტური. ბ. გურგენიძემ მოუგო ჯ. ბერაძეს, თ. გიორგაძემ — ს. მეგრელიშვილს. ი. ვეტოხინმა — გ. გამრეკელს, რ. შეინკეიმა — ე. გერსამიას, ა. ბრეიტმანმა — ა. გაგუას, ა. იზეოზჩიკოვ-გ. ჭანტურიას და ა. რაზოვსკი-დ. ჯანოევის პარტიები ყაიმით დამთავრდა. 3 პარტია არ შემდგარა.

ჩემპიონატის მონაწილეებისათვის დაწესებულია 8 პრიზი.

ხვალ გაიმართება მეორე ტური.



**ფეხბურთის ამგები**

**სპარტაკელთა გამარჯვება**

პეკინი, 10 მარტი. (საკდესი). დღეს ხანჯოუში მოსკოვის „სპარტაკის" დუბლიორთა შემადგენლობა შეხვდა ჯეძიანის პროვინციის ნაკრებ გუნდს. თამაში მოსკოველ ფეხბურთელთა აშკარა უპირატესობით მიმდინარეობდა და დამთავრდა მათივე გამარჯვებით, ანგარიშით 5:0.

ორი ბურთი გაიტანა ადამოვმა და თითო ბურთი — რეინგოლდმა, მოროზოვმა და სუპრიკიანმა.

**მატჩი ადლერში**

9 მარტს ადლერში შედგა მატჩი ფეხბურთში — მოსკოვის „ტორპედოსა" და კუიბიშევის „კრილია სოვეტოვის" გუნდებს შორის. შეხვედრა დამთავრდა ტორპედოელთა გამარჯვებით ანგარიშით 3 : 1.

## 12 მარტი

**თბილისის თეატრებსა და კინოებში**

**სახელობის** — ირკუტსკის ისტორია (ჰეროიკა), **მუსიკალური კომედიის** — ჭირვეული ქმრის მორჯულება (ჯინიგზელთა სახლში), **სანკულტურის** — სახელგატეხილნი, **მოზარდ მაყურებელთა ქართული** — კომეტა ბ-2 (აბონ. № 30, 6 ს.), **თოჯინების ქართული** — სიცოცხლის ყვავილი (11 ს.).

* * *

**რუსთაველის სახელობის, ამირანი, ოქტომბერი, ისანი, სპარტაკი, 26 კომისრის სახელობის** (მეორე დარბაზი), **საქართველო** (წითელი დარბაზი), **პლეხანოვის სახელობის კლუბი** — მეზღვაური ნაპირზე გადმოდის, **თბილისი, კოლხიდა, ოფიცერთა სახლი** — თეთრი ღამეები. **კომკავშირელი** — განკიცხულნი, **26 კომისრის სახელობის** (პირველი დარბაზი), **საქართველო** (მწვანე დარბაზი), **ჭავჭავაძის სახელობის კლუბი, კოლმეურნე, კომუნარების ბაღი** — ნასრდინი ხოჯენტში, **გორკის სახელობის კულტურის სახლი, დიდუბე, ყაზბეგი** — პროცესი გადადებულია.

* * *

18.30 — გადაცემა მოსწავლეთათვის — „ცნობისმოყვარე ბავშვთა კლუბი", 19.10 — კლასიკურ ჰიდაობაში სსრ კავშირის პირადი პირველობის ფინალური შეხვედრების რეპორტაჟი თბილისის სახელმწიფო ცირკიდან, — ანტრაქტში უკანასკნელი ცნობები, — რეპორტაჟის შემდეგ მუსიკალური კინოკომედია „გაზაფხული".



რედაქციისა და გამომცემლობის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 14. ტელეფონები: რედაქტორის — 3-62-26, რედაქტორის მოადგილეების — 3-63-03, 3-82-05, პასუხისმგებელი მდივნის — 3-72-80, სამდივნოსი — 3-81-65, განყოფილებებისა: პარტიული ცხოვრების და საბჭოთა მშენებლობის — 3-81-84, მარქსისტულ-ლენინური თეორიის პროპაგანდის, მრეწველობისა და ტრანსპორტის — 3-57-61, სოფლის მეურნეობის — 3-32-46, მეცნიერების, უმაღლესი და საშუალო სკოლების, ლიტერატურისა და ხელოვნების — 3-80-84, წერილებისა და პარტბიუროსი — 3-73-24, ადგილობრივი ინფორმაციის — 3-16-90, მუშსოფლკორთა კაბინეტის — 3-08-67, საილუსტრაციო — 3-20-43, განცხადებების მიღებისა — 3-64-42, გამომშვების — 3-06-88.